645/
1962/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ქალი

სექტემბერი

1962 წ. № 9












ქეთევან ირემაძე

ნახატი ლადო გუდიაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი უჩა ჯაფარიძის

დავით კლდიაშვილი

(დაბადების 100 წლისთავი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რიგაში

ლია კაკაბაძე

არის ორი ქალაქი — ერთი ჩრდილოეთში, მეორე სამხრეთში, ორი ძმადნაფიცი — რიგა-თბილისი. ხუთი წლის წინ დაძმობილდნენ ისინი და მას შემდეგ ქართველი შეუმჩნეველი არ რჩება რიგაში. მას მასპინძლები მაშინვე ცნობენ თვალების, სახის, თმის ფერით, «გამარჯობას» იქით ასწრებენ ქართულად.

არც ლატვიელის გამოცნობა ჭირს თბილისში. მაღალი, მოგრძო სახის, სწორნაკვთებიანი ძმობილი ნახვისთანავე ამჟღავნებს თავისთავს.

წელიწადი ისე როგორ გავა, ერთმანეთი არ მოინახულონ, ჯიხვის რქა არ ასწიონ, მასპინძლობით თავი არ მოიწონონ. ქართული ტემპერამენტი და ლატვიური სიდინჯე საოცრად შეეგუა ერთმანეთს.

ეს დაძმობილება პირველად რიგისა და თბილისის საწარმოთა მუშებმა წამოიწყეს. მათ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება დასდეს ერთმანეთთან. გაჩნდა ახალი ინტერესი მუშებში — რიგის წინდები აჯობებს თუ თბილისის, რიგის აბრეშუმს უფრო მოიწონებენ თუ თბილისის, რიგის ტრიკოტაჟი ისახელებს თავს თუ თბილისის! ხუთი წელია ხან ერთი ქალაქის საწარმოები იმარჯვებენ და ხან მეორე, ხან რიგელი ფეიქრები ულოცავენ თბილისელებს წარმატებებს და ხან პირიქით!

დილით, როცა ორივე ქალაქში საყვირები აკივლდებიან, საწარმოებისაკენ წამოვა მუშების ნაკადი, მერე ისინი დაზგებთან დადგებიან და... ასეული კილომეტრით დაშორებულ რიგიდან მანქანები თითქოს ხმას აწვდიან თბილისს, თბილისის საწარმოები თითქოს გუგუნში ეცილებიან რიგისას და ადამიანებს უსიტყვოდ ესმით ერთმანეთის: დღიური გეგმა შესრულდა, მოდის ზეგეგმითი პროდუქცია!

ასეთ სიშორეზე ადვილია გაგება, როცა ძმას ძმის წინაშე ძმობის ფიცი დაუდვია.

## ლამაზი ქრიმპლენისათვის

ის მოვიდა აქ, როცა ქალაქში გაზაფხული იდგა, როცა დღეები იყო ძალიან გრძელი და შეყვარებულები დიდხანს ელოდნენ დაღამებას. მან მოიტანა თავისი ახალგაზრდობა, 17 წლის ქალიშვილის ცვალებადი ხასიათი და გულში აფეთქებული სიხარული. აქ კი ყველაფერი დაბრძენებული დახვდა — ადამიანები დინჯად მიდგომოდნენ მანქანებს, ხელები აუჩქარებლად იშლებოდნენ, მაქოები მოზომილად ტოკავდნენ და აბრეშუმის ქსოვილი იკეცებოდა ნელა. ერთი მანქანა გამოუყვეს ირმა დავიდს, სულ ბოლოში, ძველი, გრძელი მანქანა. ირმა მოუთმენლად დაადგა თავს, აახმიანა, მაქო აატოკა. და წამოვიდა აბრეშუმი...

ეს ის აბრეშუმია, თაროებზე რომ აწყვია გასაყიდად და ირმა ვერ ყიდულობს. ეს ის აბრეშუმია, საქორწილოდ რომ იკერავენ და მის დანახვაზე გული უღელავს გასათხოვარ გოგოს. ეს ის აბრეშუმია, მანეკენებს რომ აცვიათ მთავარ ქუჩაზე და გამომწვევად უყურებენ ირმას...

ყვავილობის თვეა. რიგის აბრეშუმის ფაბრიკის მეპატრონე ქირაობს მუშებს. მქსოველები გასამრჯელოს იღებენ, მაგრამ ძალიან ცოტას. აბრეშუმი მხოლოდ მდიდრებისათვის იყიდება.

ერთ დილას მეპატრონემ დასტოვა ფაბრიკა, ქალაქი. ის გაექცა საბჭოთა ხელისუფლებას. მუშებმა თავისად დაიგულეს საწარმო და თითქოს უფრო ახმაურდნენ მანქანები, მალე მქსოველები გამოეწყვნენ აბრეშუმში და ირმამაც იყიდა მოლისფერი კაბა.

სამამულო ომმა მანქანასთან მოუსწრო, მოულოდნელად, უეცრად, და ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩუმა ორივე — მანქანაც და ადამიანიც. მანქანებმა ერთი დაიხრიალეს და გაჩერდნენ, ადამიანებმაც დაიხრიალეს მათთან ერთად. რიგის ლამაზ ქუჩაში ლამაზი სახლი წაიქცა. ცეცხლმა გაანათა ქალაქის პორტი და ქალაქის პარკის ულამაზეს არხში ყუმბარებმა წყალი აადუღა.

მერე სამგლოვიარო ხმაზე აეწყო მანქანების ხმაური, თითქოს ისინიც გლოვობდნენ მქსოველების დაღუპულ ქმრებსა და შვილებს. აბრეშუმი იქსოვებოდა უგულოდ და წყევლით. წყევლას ატანდნენ გერმანიაში გასაგზავნ ქსოვილს ფეიქრები.

ირმას არასოდეს დაავიწყდება 1944 წლის ოქტომბერი. კვლავ წამოვიდა ძირს ლამაზი სახლის ლამაზი ქონგურები, კვლავ ავარდა მოტირალი დედების ზარი და სასაფლაოზე მიცვალებულებსაც მისწვდათ მათი მოთქმა. გერმანელები ნგრევით ტოვებდნენ რიგას. ქალაქი ნგრევით თავისუფლდებოდა.

ირმას არასოდეს დაავიწყდება 1944 წლის ოქტომბერი, როცა გერმანელებმა უკანდახევისას გააფუჭეს ელექტროსადგური, დაამტვრიეს საქსოვი დაზგები.

მაშინ ბევრი წუხილის დრო არ იყო. მქსოველები იქცნენ დურგლებად, მღებავებად, ზეინკლებად. რიგის აბრეშუმის ფაბრიკა გარემონტდა, გალამაზდა და შრომა ახლებურად აიწყო.

მას შემდეგ გაზაფხული ბევრჯერ მოვიდა. ახალგაზრდებიც ბევრჯერ მოვიდნენ ფაბრიკაში. საამქროები გაფართოვდა, ახალი მანქანები დაიდგა. რიგის აბრეშუმმა ფართო აღიარება მოიპოვა. გასათხოვრებმაც მოიწონეს იგი, გათხოვილებიც კმაყოფილი დარჩნენ. სტუმრებს ხომ თვლა არა აქვთ, მოდიან, ათვალიერებენ, აქებენ ლამაზად მოხატულ





ხარისხოვან ქსოვილს. ირმა დავიდი კვლავ აქ არის. ვერ წარმოუდგენია ერთი დღეც კი დაზგების გაბმული გუგუნი რომ არ ესმოდეს. ჯერ იყო და ქსოვის მოწინავე მეთოდებს ნერგავდა და როგორც ინსტრუქტორი, ჯგუფებს ამეცადინებდა, მერე მოწაფეები გაიჩინა, ქსოვა ასწავლა. ახლა კვლავ დაზგებთანაა — ერთიდან გადადის მეორეზე, მესამეზე, მეოთხეზე. ერთ დაზგაზე რომ კაპრონს ქსოვს, მეორეზე შოტლანკაა გაჭიმული, მესამეზე ტაფტა იქსოვება, მეოთხეზე ახალი არტიკულის კაპრონია.

მოდის ქსოვილი, მოდის ზღვასავით, ერთ ცვლაში 80 მეტრის ნაცვლად ირმა ახვავებს 90-100 მეტრს. იკეცება, ხვავდება აბრეშუმი. იკეცება აქ, რიგაში, იკეცება სხვაგანაც — ერევანში, კაუნასში, თბილისში.

თბილისში სტუმრად იყო ირმა. იცნობს ეთერ სოლომონიას, სხვა ქართ-

ველ მქსოველებს. როცა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები განიხილეს, თბილისმა გაიმარჯვა მოძმე ქალაქებს შორის. ეს არ წყენია ირმას, რადგანაც მოეწონა თბილისი, მისი ხალხი, მისი სტუმართმოყვარეობა. ეს იყო წინა წლებში. ახლა რიგის აბრეშუმი ძლიერი მეტოქეა. ახლა უფრო ძნელია მასთან შეჯიბრება. ეს სჯერა ირმას და ამიტომ ხელს უსვამს ახალი არტიკულის კაპრონს. იცის, რომ ქალიშვილები „სულს ლევენ“ მასზე. როცა იასამნები ყვავიან, გოგონები ამ კაპრონს იკერავენ. როცა ჩვიდმეტი წელი უსრულდებათ — მაშინაც იკერავენ. როცა საქორწილოდ ირთვებიან — მაშინ ხომ იკერავენ და...

ირმა ქსოვს და ქსოვს, რომ ბევრი იყოს ის, რაც კარგია, რაც სჭირდებათ ჩვენს ლამაზ ქალიშვილებს, ჩვენს გასათხოვარ ქალიშვილებს.

ირმა ქსოვს და ქსოვს, რომ ბევრი იყოს ქორწილები, რომ იმატონ პატარძლებმა, რომ დღევანდელი პატარძლები არ ჰგავდნენ ძველებს, რომ დედებიც კი დადუმდნენ და არ უთხრან შვილებს, როგორი იყო მათი ქალიშვილობა ომის დროს, რომ დღევანდელმა გოგონებმა არასოდეს არ იგრძნონ რა არის ომი, რომ მათ მოიხმარონ ის, რაც იქსოვება, მშვიდობაში.

დღიური გეგმა შესრულდა, მანქანები კი მაინც არ ისვენებენ. 90, 100 მეტრი იქსოვება გეგმის ზევით და ირმას თვალწინ ტრიალებენ უთვალავი საქორწილო გოგოები.

— მშვიდობაში, მშვიდობაში, — ამას ამბობს სოციალისტური შრომის გმირი ირმა დავიდი.

# წყნარ ქუჩაზე

— დედა, აქედან მარტო წავალ, — ჯიუტობს ბავშვი დიდ, მაღალ შენობასთან.

— არა, საცაა მივალთ, — ამბობს დედა.

შენობა უკან რჩება, მაღალი ფანჯრებით და მძიმე კარით, რომლის შესასვლელში დიდი ასოებით წერია „ქარხანა ვეფი“.

აქედან საბავშვო ბაღამდე არ არის შორს. დედა ნაბიჯს მაინც უმატებს, რომ მოასწროს ქარხანაში მისვლა. ბავშვიც თვალებით ზომავს ამ ნაბიჯებს და ცდილობს ააწყოს ფეხი... ამასობაში ახალი შენობები ჩანს, ძალიან განიერი ფანჯრებით და შენობიდან შენობაში გადასასვლელი დერეფნებით.



დედა შესასვლელში უშვებს ხელს პატარას, რომელსაც ექთანი ეგებება და მიჰყავს. დედა ცოტახნით ჩერდება და მისთვის მოწყობილ კუთხეს ათვალიერებს. სტენდებზე გამოფენილია ლიტერატურა ბავშვის აღზრდის სხვადასხვა საკითხებზე; აქვეა დარიგებები, რომ ბავშვები უსაუზმოდ უნდა მოიყვანონ; თან არ გამოატანონ ხილი და ტკბილეული; ბავშვების თანდასწრებით არ გამოთქვან რაიმე საყვედური აღმზრდელებთან; ბავშვთა ოთახებში უნებართვოდ შესვლა აკრძალულია; თუ მშობელს სურს მოლაპარაკება საბავშვო ბაღის პერსონალთან, ჩაიკითხოს საათების განრიგი, როცა მათი მიღება შეეძლებათ დირექტორს, ექიმს, ბუღალტერს.

ყველაფერი ეს ნაცნობია დედისათვის, მაგრამ მაინც კითხულობს და მენიუსაც ათვალიერებს, შემდეგ მიდის შეკითხვების მაგიდასთან, იღებს საწერ-კალამს და მერე ოთხად მოკეცილ ქაღალდს ყუთში უშვებს. ხვალ ამ შეკითხვის პასუხი დახვდება და გაიგებს, აუცილებელია თუ არა ბავშვისათვის აცრა.

ქარხნის მძიმე კარი თითქმის არ იხურება. განუწყვეტლივ შემოდიან მუშები, შლიან საშვებს და დაზგებისკენ მიდიან.

ერთერთ დაზგასთან დედა დგას. მას სამუშაო ხალათი აცვია და ახლა იმ დეტალზე ფიქრობს, რომელიც ხელთა აქვს. ის სულ არ ფიქრობს სხვა რამეზე, არ დარდობს შვილზე, რომელიც საბავშვო ბაღში დატოვა. ქარხანა ვეებერთელაა, ქარხანას ათასობით მუშა ჰყავს, იგი საქვეყნოდ ცნობილ პროდუქციას უშვებს და ამ საქვეყნოდ ცნობილ ნაწარმის შემქმნელთ რომ აწუხებდეთ სულ ცოტათი მაინც რაღაც, მაშინ შეიძლება მიიღონ წუნი, შეიძლება დაიკარგოს ბევრი კარგი წუთი და ცუდი იყოს მუშაობის ხარისხი. ამიტომ სულ ახლოს, ქარხნის მეზობლად, სამ სხვადასხვა ქუჩაზე არის სამი საბავშვო ბაღი, სადაც ამ ქარხნის ადამიანებისათვის ყველაზე ძვირფასი არსებანი იმყოფებიან. ეს შენობები სპეციალურად ისე აშენდა, რომ რაც შეიძლება მეტი იყოს ჰაერი, მზე, სინათლე, რომ ბავშვებმა ყველაფერში იგრძნონ, რა დიდია სისადავის ფასი, სილამაზის ფასი. საბავშვო ბაღის ყველა ჯგუფს თავისი ოთახები აქვს. ყველა ოთახი სხვადასხვაფრადაა შეღებილი. ყველაფერი გემოვნებითაა შერჩეული და ეხამება ოთახში მოთავსებული ინვენტარის ფერს. ინვენტარი რიგის ავეჯის კომბინატმა სპეციალურად პატარებისათვის დაამზადა. ლამაზი მაგიდები, რომლებიც გამოიყენება როგორც სამეცადინოდ და სამუშაოდ, ასევე საუზმოდ, მეტად მოხერხებულია საჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა





დომად და გაწყობილია ყვავილებიანი ლარნაკებით. ყველა ამ მაგიდას სხვადასხვაფრად შეღებილი სკამები უდგას.

დღეში რამდენჯერმე იცვლება ამ ოთახის დანიშნულება. მეცადინეობის დროს უფროსებისათვის მაგიდებზე წიგნები ან სახატავი რვეულები იშლება, შემდეგ საკლასო ოთახის კვალი უეცრად ქრება. მოდის ძიძა, დატვირთული ქვაბებით. ჯგუფის მორიგე იმავე წუთს მასთან ჩნდება. ძიძა ჭურჭლის კარადიდან იღებს თეფშებს და მორიგე თავის ტოლებს ურიგებს კერძს... მერე ყველაფერი ეს ლაგდება და ბავშვები ამავე ოთახის მეორე ნაწილში მათთვის განკუთვნილი სათამაშოებით ერთობიან.

ყველა ჯგუფს თავისი აქვს საშხაპე და საპირფარეშო ოთახები, ცალკე აქვს საძინებელი; მათთვის ეზოში პატარა ხის სახლები დაუდგამთ და სხვადასხვაფრად შეუღებავთ, რომ ბავშვებმა გაარჩიონ თავიანთი კუთხე. ცალ მხარეს სახლები მთლიანად უკედლოა, შიგ დგას პატარა მაგიდები სკამებით. წვიმიან ამინდში ბავშვებს შეუძლიათ სუფთა ჰაერზე სრულიად თავისუფლად ითამაშონ. კარადაში აქ მათთვის ინახება ყველა ის სათამაშო, რაც ეზოსთვის არის დანიშნული.

და არც ერთი წუთით მშობლები დაზგებთან არ ფიქრობენ, რომ მათ შვილს არ დააძინებენ, წიგნს არ წაუკითხავენ, თვლას არ ასწავლიან, არ ამღერებენ, დილის სავალდებულო ვარჯიშს არ ჩაუტარებენ. მათ ამას არ აფიქრებინებს ბაღის გამგე თამარა ტობოლევიჩი, რომელიც რვა წელია ბავშვებთანაა და შარშან გერცენის სახელობის ლენინგრადის სკოლამდელთა ინსტიტუტი დაამთავრა; არც აღმზრდელი ირინა კრეპოსტნიაკი, რომელიც ძალიან კეთილია და არასდროს ხმას არ აუწევს; არც სულ ახალგაზრდა ვერონიკა ობომვიჩი, რომელსაც სხვისი ოცდაშვიდი ბავშვი ჰყავს და საკუთარი ჯერ არცერთი; არც ძიძა, რომელიც ბავშვებს უხსნის, რა სასარგებლოა ნადუღი და რამდენი უნდა ჭამონ ბოსტნეული; არც თავწაკრული მზარეული, უნივერსალურ კომბაინერს რომ მართავს და ხელით არც კარტოფილის თლა უხდება, არც ცომის ზელა, არც კომბოსტოსა და სტაფილოს დაჭრა, არც ნაღების დღვება.

დღის ბოლოს, როცა ქარხანაში მუშაობა მთავრდება, იღება ქარხნის დიდი და მძიმე კარი. ახლა ის თითქმის სულ არ იხურება, რადგან განუწყვეტლივ გამოდიან მუშები. ათი წუთი და საბავშვო ბაღსაც სტოვებს ხელჩაკიდებული დედა-შვილი.

ქარხანა „ვეფი" უშვებს ნაწარმს, რომელიც საქვეყნოდ ცნობილია, მისი შემქმნელი ადამიანების შრომაც ცნობილია, და იქნებ, ამ „სახელგანთქმულობის" ერთერთი პირობა ისიც იყოს, რომ რიგის ერთ წყნარ ქუჩაზე არის საბავშვო ბაღი № 122.



# „მეგობრობა"



— მოლარე, დიასახლისი, ექთანი, — ასე ჩამოთვალეს თავიანთი ვინაობა ვილმა მილერმა, ბირუტა პეტერსოელმა, ზინაიდა სკუიამ, მერე ერთმა წითელი თასმებით ამოქარგული დეკორაციული ხალიჩა გამოიტანა, მეორემ შესანიშნავი პორტიერები, მესამემ ბალიშის ლამაზი საპირეები. ძნელი იყო დაჯერება, რომ ისინი მხოლოდ ხელსაქმის წრის წევრებად ითვლებოდნენ და ქსოვის სახალხო ოსტატის წოდების მიღებას ახლა ელოდნენ.

სამუშაოს შემდეგ აქ მოდიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ისინი, რომლებსაც უყვართ ლამაზი ფერები, საქსოვი დაზგა და ზოლებად გაზმული ძაფები. კვირაში ორჯერ აქ ელლა დავიელოისი ასწავლის წრის წევრებს როგორ მოქსოვონ ყელსახვევი, კაბა ან რაც მოესურვებათ. მხატვრის თვალი უნდა ჰქონდეს, გემოვნება და შრომის სიყვარული ყველას, ვინც გადაწყვეტს ხელსაქმის შესწავლას და წრის წევრთა ნამუშევრების გამოფენაზე საკუთარი ნაოსტატარის გამოტანას. შემფასებელი ბევრი ჰყავს და საკმაოდ კრიტიკულიც სხვადასხვა დანიშნულების ყველა ნაქსოვს — მაგრამ ვილმას, ბირუტას და ზინაიდას ნახელავმა ყოველგვარ კრიტიკას გაუძლო.

—მოლარე, დიასახლისი, ექთანი, — ასე ჩამოთვალეს მათ თავიანთი ვინაობა. და მეტი არ იყო საჭირო. ვინ ვერ მიხვდებოდა, რომ დღის ბოლოს, როცა სალაროს კეტავს, ახალგაზრდა მოლარე სამეცადინოდ მოდის, როცა ოჯახის წევრებზე ზრუნვას ამთავრებს, დიასახლისი სახლს ტოვებს, როცა ავადმყოფებს ისტუმრებს, ექთანი აქეთ მოიჩქარის. ისინი № 3 ტროლეიბუსის სულ ბოლო გაჩერებაზე ჩამოდიან, ქუჩას გადასჭრიან თუ არა, კულტურის სახლია და შესასვლელში, რომელზეც აწერია „მეგობრობა", ერთმანეთს გზას უთმობენ.

ისინი კულტურის სახლის 476-კაციანი კოლექტივის სათვალავში ირიცხებიან და ალბათ ქალაქ რიგის „გამოყენებითი ხელოვნების" კომბინატი ხელსაქმის ამ მომავალ სახალხო ოსტატებს სამუშაოდ თავისთან მიიწვევს.

კულტურის სახლთან, გაჩერებაზე სხვებიც ჩამოდიან — კულინარიის წრის წევრები, ვოკალური დუეტის „დების" მონაწილენი, ქალთა სიმებიანი ორკესტრის წევრები, რუსული და ლატვიური დრამატიული წრის წევრები, საესტრადო ორკესტრის შემსრულებლები. აქ სამეცადინოდ პატარა პიანისტები, აკორდეონისტები და ტანმოვარჯიშეებიც დადიან. ნორჩებმა მხატვრულ ტანვარჯიშში ქალაქის მასშტაბით პირველი ადგილი დაიკავეს. კულტურის სახლის ასკაციანი გუნდი ძველი ბოლშევიკ-პენსიონერებისაგან შედგება.

ხშირად კულტურის სახლის ჩვიდმეტივე წრის წევრები ქალაქგარეთ გადიან. ისინი საშეფო კოლმეურნეობების სახალხო სახლებსა და კლუბებში თავიანთ ხელოვნებას აჩვენებენ. სახლის მხატვრული ხელმძღვანელი ნინა ცელმსი ამ საშეფო სამუშაოების პირველი ორგანიზატორია.



# ცისკენ მიმართული სახლები

ნანული ბარათაშვილი

მას ახლაც ხშირად აგონდება უკრაინა, ტკივილამდე საყვარელი უკრაინა თეთრ-ვარდისფრად აფეთქებული ტევრებით და კუპრივით შავი, ღამეული ცით. კიდევ ის სოფელი, პატარა სოფელი ჩერკასის ოლქში, კიევის სამხრეთით, მდორე მდინარე, სიმწვანეში ჩაფლული თეთრი ხატები, გრძელი და ტკბილი უკრაინული საღამოები, სოფლის საბჭოსთან თავშეყრა და ქალიშვილების უმიზეზოდ სევდიანი სიმღერები.

მას ახლაც ხშირად აგონდება უკრაინა, რადგან იმ ტევრებში გაუჩინარდა მისი ცხოვრების ხუთმეტი წელი, ხუთმეტი ბედნიერი წელი, როცა ვასილიმ არ იცოდა, რა იყო ცრემლები.

ცრემლები მერე მოვიდა, ყუმბარებთან ერთად, მაშინ, როცა მისი სოფლის მიწა ტრაქტორების ნაცვლად ჭურვებმა დახნეს, როცა ხანძარში დაიშრიტა თავთავების ოქროსფერი ზღვა და ორღობეების გასწვრივ, ნახშირადქცეულ კედლებიდან ცისკენ აიმართნენ გამურული საკვამურები.

მაგრამ ეს გადათხრილი და დამწვარი მიწა მისთვის მაინც ისეთი მახლობელი იყო, ისეთი მახლობელი, რომ ბიჭი ავტომატის კონდახით ძლივს მოგლიჯეს ვაგონის დირეს. ის კი ფეთიანივით აწყდებოდა ვაგონის კედლებს, რომ სადმე ნაპრალში კვამლისა და ტირილისგან დაოსებული თვალებით კიდევ ერთხელ დაენახა თავისი სოფლის ნახანძრალი ზეცა, თავისი მდორე მდინარე და რკინიგზის პატარა სადგური.

გვერდით ვაგონში ქალები კიოდნენ. ეშელონი გერმანიისკენ მიდიოდა და მატარებელს ფეხდაფეხ მისდევდა, მიბორძიკობდა და რჩებოდა ვასილის ბავშვობა.

იმ დღეების შემდეგ აგერ, თითქმის ოცმა წელმა გაიარა. ქალაქს, რომელშიც ახლა ვასილი სამოილენკო ცხოვრობს, ბევრი ასეული კილომეტრი აშორებს ჩერკასის ოლქიდან.

ქალაქი მშვიდია და წყნარი, როგორც ჩრდილოეთის ყველა ქალაქი. ზეცა აქ არ არის ისეთი მაღალი, როგორც უკრაინაში, არც ღამეებია ისე გრძელი და ბნელი. და მაინც რიგა მისი მეორე სამშობლოა, მეორედ ნაპოვნი სამშობლო და ამიტომ არანაკლებ ძვირფასი.

ის ამ ქალაქში პირველად ჯარისკაცის მაზარით მოვიდა, მის შემდეგ, რაც გერმანელების ტყვეობისაგან გაანთავისუფლეს საბჭოთა მებრძოლებმა. ქალაქი ნელი-ნელ იშუშებდა ჭრილობებს, ხარაჩოებს აკლდა მუშა-ხელი და ვასილი მეორე ვადითაც დარჩა ჯარში, იმათ მაგივრად, ვისაც ნანგრევებიდან ამოჰყავდათ სახლები და ქარხნები.

როცა მაზარა გაიხადა, ათასცხრაას ორმოცდარვა წლის გაზაფხული იდგა რიგაში. რაინისის ბულვარზე ცაცხვებმა გაშალეს მძიმე კარვები, ქალაქის არხში ნაწნავებს ისველებდნენ მწვანე ტირიფები და ისეთი სიჩუმე იდგა ქალაქის პარკებში, რომ შეიძლებოდა გაგეგოთ, როგორ სკდებოდნენ იასამნის კვირტები.

იმ გაზაფხულზე ვასილი უკრაინაში დაბრუნდა, მაგრამ ცოტა ხნით. ალბათ, იმიტომ, რომ გულის ნაწილი რიგაში დარჩა. რიგაში ელოდებოდა ნინა—ნაზი და ალერსიანი რუსი ქალიშვილი.

შემდეგ ის ქალიშვილი მისი ცოლი გახდა. შემდეგ ისინი ყოველ დილით ერთად მიდიოდნენ „ავრორასკენ", მზიან ამინდში ფეხით, წვიმაში — ტრამვაით.

ისინი ფაბრიკის შენობის კართან შორდებიან ერთმანეთს. ვასილი კოტონის საამქროს კარებს შეაღებს, ნინა კიბეებს აუყვება ზევით.

ვასილი კომბინეზონს იცვამს და დაზგის სახელურს გადმოწევს. გრძელი, დიდი მანქანა ახმაურდება თანაბრად, რიტმიულად. მანქანა ძიგძიგებს და ოცდარვა წყვილი კაპრონის თხელი წინდა ერთდროულად იქსოვება.

ვასილი მანქანის გასწვრივ დადის და ხანგამოშვებით იხრება. მანქანა ავტო-



მატიზებულია; თუ სადმე ძაფი გაწყდა, ან რაღაც აირია, დაზგა თვითონვე ჩერდება. ვასილი იხრება და რამდენიმე წამის შემდეგ საქსოვი ისევ ამოძრავდება, ის კი ისევ დაზგას უვლის.

ზოგჯერ თვალი იქით გაურბის, სადაც მანქანას მარკა აქვს დაკრული: „ტექსტიმა“ კარლ-მარქს-შტადტი, გდრ.“ დიდი ხანი არაა, რაც ეს მანქანა რიგელ მეკოტონეებს გამოუგზავნეს გერმანელმა მეგობრებმა.

„კარგად უმუშავნიათ“, — ფიქრობს ვასილი და ცდილობს წარმოიდგინოს იმათი სახეები, ვინც ეს მანქანა შექმნა.

და ყოველთვის, როცა იმ ადამიანებზე ფიქრობს, ვასილის თავის სამხრეთელი მეგობარიც აგონდება, მეგობარი და მეტოქე ირაკლი წერეთელი.

წერეთელი თბილისის დელეგაციას ჩამოჰყვა შარშან რიგაში. მაშინ „ავრორას“ კოტონ-წინდების საამქრო ათი წლისთავს ზეიმობდა. საზეიმო სხდომაზე თბილისელმა მუშამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია რიგელები და გამოწვევა ვასილიმ მიიღო. ამის შემდეგ ხშირად მიდიან ბარათები თბილისსა და რიგას შორის. ამას წინათ ვასილის თავისი მეგობრის სურათი მოუვიდა, ცოლ-შვილში გადაღებული. თურმე, ირაკლი გამოცდებისათვის ემზადებოდა უმაღლესში. ჩამოდიო, — უთვლიდა, — ჩვენები უნდა გაგაცნო და ჩემი ქალაქი დაგათვალიერებინოო.

ჰოდა, შვებულებას რომ აიღებს, სამხრეთისკენ გაუყვება ვასილი. ახლა კი დაზგებს შორის მიდი-მოდის, უსახელო, გულამოჭრილ მაისურში დაკუნთული ტანი ბრინჯაოსფრად მოუჩანს, დაძარღვული ხელები ფრთხილად ასწორებენ კაპრონის ძაფს.

ატლეტური აღნაგობის ვაჟკაცი აბლაბუდასავით თხელ წინდებს დასტრიალებს, რომ სადმე წუნი არ გაეპაროს, არ გაცდეს მანქანა ერთი წამითაც კი. თბილისის კოტონ-წინდების ფაბრიკაში კი ირაკლი წერეთელს აქვს ასეთივე საზრუნავი. ისინი სხვადასხვანაირ წინდებს ქსოვენ სხვადასხვანაირ მანქანებზე, გეგმებიც სხვადასხვა აქვთ. მაგრამ ერთმანეთის საწარმოო მაჩვენებლებს ფხიზლად ადევნებენ თვალს — არ უშლით ასეული კილომეტრები.

ვასილი გეგმას 110-115 პროცენტით ასრულებს. მაგრამ, შარშან ირაკლის ხვდა გამარჯვება. „სირცხვილია, თუ წელსაც მაჯობა“, — ფიქრობს ვასილი.

— სირცხვილი გვჭირს, — უთხრა ამას წინათ ნინამ. — უნივერმაღში ქალები ჩიოდნენ, გაგვყიდა წინდებმაო. თვეზე მეტს ვერც ერთი წინდა ვერ გვიძლებს, უფრო ხშირად კი მეორე კვირასვე მისდის თვალიო...

ვასილი გაბრაზდა:

— წინდის სიმაგრეზე ჩვენი საამქრო არ აგებს პასუხს, ეს ძაფის ამომხვევლების საქმეაო, — უპასუხა მაშინ. — ჩვენ იმას ვცდილობთ, რაც შეიძლება მაღალი ხარისხის ნაქსოვი იყოს, რაც შეიძლება ლამაზი და მეტი...

მაგრამ, მაინც, როცა ამგვარ საუბარს გადმოსცემენ, მერე კიდევ უფრო გულდაგულ უკვირდება ვასილი მანქანას.

მისი მოქსოვილი წინდები შემდეგ ნინას საამქროში გადადის. დამხარისხებელი საამქრო სწორედ ვასილის საამქროს ზემოთ მდებარეობს. წინდები ჯერ იქვე იკერება და შემდეგ ნინა და მისი მეგობრები კონვეიერზე ამოწმებენ ნაქსოვის სიწმინდეს, ნაკერის სინატიფეს და ახარისხებენ.

მერე ვასილის მოქსოვილ წინდებს გამფორმებელ საამქროში გზავნიან, სადაც წინდა ფეხის ფორმას იღებს, მერე ღებავენ ხორცისფრად, რუხ ფერად, მზისფრად...

და სანამ წინდა ისეთ სახეს მიიღებდეს, როგორითაც ჩვენთან მოდის ხოლმე, თავდაუზოგავად მუშაობენ ვასილის მეგობრები, ემა ბიუკის მანქანების მწმენდავი ბრიგადა, მკერავი-მოტორისტები ლიეპა ბირუტე და ნინა ონუფრიევა, დამხარისხებლები ანა ტეილანსი და კლავა ჩუმაკი, გამფორმებელი ლეიმანისი და შემორთქლელი ზიულკოვა.

საყვირის შემდეგ ნინა და ვასილი ისევ კარებთან ხვდებიან ერთმანეთს.

მერე მხარმარცხნივ გაუხვევენ და წყნარ და ფართო ქუჩას გაუყვებიან. ამ ქუჩაზე იასამნები ხეებად იზრდებიან და მთელი გაზაფხული ქუჩა თითქოს ბურანშია: როცა აკაციები ამთავრებენ ყვავილობას, იასამნებს ებერებათ კვირტები.

ისინი ყოველდღე მოდიან აქ სამუშაოს შემდეგ. აქ ლიეპაიას ქუჩაზე, ორმოც ნომერში იქნება მათი სახლი, სახლი, რომელსაც ვასილი და მისი მეგობრები აშენებენ თავისი ხელებით, სამუშაოდან თავისუფალ საათებში.

ეს უკვე მესამე სახლს აშენებს „ავრორა“ თავისი მუშებისათვის გორკელების მეთოდით: მშენებლებისათვის სახსრებს ფაბრიკა გასცემს, მშენებლები კი თვითონ მუშები არიან, ამ სახლის მომავალი ბინადრები.

ზოგჯერ ნინას აქ ტანია და ვოვაც მოჰყავს. ისინიც უცქერენ, როგორ ურევს მათი მამა ცემენტს, როგორ აწყობს აგურს აგურზე დაკუნთული, ბრინჯაოსფერი ხელებით.

და მათი მზერის ქვეშ ვასილის თითქოს ტოვებს დაღლა...

დღის ბოლოს, როცა მუშები ხარაჩოებიდან ჩამოდიან, ისინი კიდევ ცოტა ხანს რჩებიან თავიანთ სახლთან, თავიანთ ეზოში.

ბავშვები იასამნის ხეებში დარბიან, ვასილი კი თავქვეშ ხელამოდებული წევს და ისვენებს. სიწყნარეა ლიეპაიას ქუჩაზე და ჩამუქებულ ცისკენ მიიმართებიან აგურის სახლები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# PADOMJU LATVIJAS SIEVIETE



ჟერმენა გეინე-ვაგნერს სწამს, რომ ოპერის მომღერალი აუცილებლად უნდა გამოდიოდეს კამერულ ჟანრშიც, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შემოქმედებითი ზრდისათვის. ყოველწლიურად ამზადებს ორ-სამ საკონცერტო პროგრამას. შუბერტი, გლინკა, ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, ლისტი, ლატვიელი კლასიკოსები, და საბჭოთა კომპოზიტორები: ვიტოლი, დარზინი, ა. კალნინი, კეპიტისი, ჟილინსკი, ზარინი, — მრავალფეროვანია მის მერ შესრულებული კამერული ნაწარმოებების პროგრამა. მაგრამ ყველაზე ძვირფასი და ახლობელი მისთვის რახმანინოვის მუსიკაა, რომლის გარეშეც არ ჩაუვლია ჟერმენას არც ერთ კონცერტს. და ყველა ამ კამერული კონცერტის ჩატარება ლენინგრადში ჟერმენასთვის ტრადიციად იქცა. მომღერლისათვის ახლობელი გახდნენ ლენინგრადელი მსმენელები, რომლებიც თავის მხრივ, ვალში არ რჩებიან ლატვიელ სტუმარს სიყვარულისა და მოწონების გამოხატვაში. ამას ისიც მოწმობს, რომ ჟერმენა გეინე-ვაგნერის ინდივიდუალური კონცერტები ყოველწლიურად შეაქვთ ლენინგრადის ფილარმონიის სააბონემენტო კონცერტების პროგრამაში.

ნიჭიერი მომღერლის ოსტატობა ღირსეულად დააფასა ჩვენმა მთავრობამ—შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა მოსკოვში გამართულ ლატვიის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში მონაწილეობისათვის, ხოლო ლატვიური მუსიკის განვითარებისა და პროპაგანდისათვის მას რესპუბლიკური პრემია მიეკუთვნა და რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. ყოველივე ეს ჟერმენამ დაუღალავი შრომით, მუსიკის განუზომელი სიყვარულითა და მსმენელის წინაშე წარდგომის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით მოიპოვა.

ნამდვილი ხელოვანი ხალხის უანგარო მსახურია. მისი გული ხალხს ეკუთვნის. ასეთია ჟერმენა გეინე-ვაგნერიც. და განა მარტო ხელოვნებაში...

ქალაქ ცესისის მშრომელებმა ჟერმენა გეინე-ვაგნერი ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში თავიანთ დეპუტატად აირჩიეს. იგი ცესისის ხშირი სტუმარია. თავის მხრივ, განუწყვეტლად მოგზაურობენ რიგისკენ, მისკენ ამომრჩეველთა წერილებიც. ცესისის მშრომელებმა იციან, რომ მათს რჩეულს კეთილი, მოსიყვარულე გული აქვს.

ცესისში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა ჭაბუკი, ვიქტორი. მას ცხოვრებამ არ გაუმართლა. ოცი წლის ყმაწვილი უკვე მეორე ჯგუფის ინვალიდი გახდა, მაგრამ გულის სიღრმეში ის მუდამ ოცნებობდა — ესწავლა ტყავის მხატვრული დამუშავება, შეექმნა მისგან ლამაზი ნივთები. ცესისში კი არ იყო ასეთი სკოლა... აი სწორედ აქ გაუწოდა მეგობრული ხელი უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა — ჟერმენა გეინე-ვაგნერმა ვიქტორს და ახლა ჭაბუკი თავის საყვარელ საქმეს რიგის ინვალიდთა სპეცსასწავლებელში ეუფლება.

ამჟამად ჟერმენა შვებულებაშია. დაძაბული სეზონი დასვენებას, ენერგიის აღდგენას მოითხოვს. წინ ბევრი სამუშაო ელის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელოვნება ადამიანისგან მთელ არსებას და უფრო მეტსაც მოითხოვს. ყოველ ახალ როლს წინ უსწრებს ძალზე რთული შემოქმედებითი დაძაბულობა. მაგრამ უამისოდ ხომ არც ის დიდი, აღტყინებული შემოქმედებითი სიხარული მოვა. განუზომელი ტალანტი და უდიდესი შრომისმოყვარეობა, — ასე ახასიათებენ ჟერმენა გეინე-ვაგნერს მისი კოლეგები.

—ზოგჯერ სულიერი დაძაბულობა დაღლილობასაც იწვევს,—აღიარებს მსახიობი და ღიმილით დასძენს, — ყოველი ჩემი როლი ხომ გმირის სიკვდილით მთავრდება.

აი, ამიტომაა აუცილებელი დასვენება, ენერგიის აღდგენა. ზამთრობით კარგია მყუდრო, მოსარკული საციგურაო, ზაფხულობით კი ბალი ზღვის სანაპიროზე. გინდა იმოძრაო, არაფერზე არ იფიქრო: — შემდეგ კი ისევ მიუჯდები როიალს.

იდუმლად წკრიალებენ სამაჯურები ჟერმენას მზემოკიდებულ მკლავზე. ფიქრში წასული მომღერალი ხელით ეხება მათ, რაღაცას იხსენებს. ყოველი როლი ახალი ნაბიჯია მსახიობის ცხოვრებაში და ყოველ ნაბიჯს სიხარული უნდა მოჰქონდეს ადამიანებისათვის.

ახალი სეზონი ახალ როლებს მოიტანს, ხოლო ახალი როლი, ახალ მღელვარე წუთებსა და სიხარულს. დასვენება... მაგრამ ეს წვიმიანი დღეები მაინც ფიქრებს ულვივებენ ჟერმენა გეინე-ვაგნერს. ახლაც ფიქრი „დონ-კარლოსის“ ელიზაბეტას დასტრიალებს. ეს იქნება მისი პირველი ახალი როლი ამ სეზონში. შემდეგ? ალბათ, შებალინა — „ჭირვეულის მორჯულებაში“ და, რასაკვირველია, კიდევ ახალი საკონცერტო პროგრამები.

კიდევ მრავალი სასიხარულო შეხვედრები ელით მუსიკის მოყვარულთ თავიანთ მომღერალთან, კიდევ მრავალ ვერცხლის რგოლებს მიუძღვნიან მეგობრები ჟერმენას და ჩვენც გვინდა ვუსურვოთ მას, რომ სამაჯურის ერთერთ ასეთ რგოლზე ამოიკვეთოს „ლეონორა“—ვერდის ოპერა „ტრუბადური“ და თარიღი. ეს ხომ მომღერლის სანუკვარი ოცნებაა...

და განა შეიძლება არ ასრულდეს დიდი შემოქმედის, საზოგადო მოღვაწის ოცნება, იმ ადამიანის ოცნება, რომელიც ხალხს სწირავს ყოველივეს, რაც კი მას გააჩნია — ტალანტს, ოსტატობას და გულს?!

ი. როზიტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბინის კედლების მორთვა

ამგვარად „მორთულ“ კედლებს (ნახ. № 1) ჯერ კიდევ ხშირად შევხვდებით. კედელზე გაკრული ტილოს „დაროჟკები“, „რიშელიეთი“ ნაქარგი თეთრი ბალიშისპირები, ფერადი ძაფებით ნაქსოვი სენტიმენტალური თემატიკის „ხალიჩასურათები“ ზედ ამოქარგული ლექსებით...

რა შორსაა ეს ყველაფერი კარგი გემოვნებისგან, ხალხური გემოვნებისგან, რომლის საუცხოო ფერადსა და ორნამენტულ კომპოზიციებს, ვინ იცის, რომელი საუკუნის სიშორეში აქვთ სათავე!

რაც უფრო მალე გავაძევებთ ჩვენი ბინიდან ამგვარ „დეკორაციებს“, ის ჯობს. იმიტომ, რომ ეს ყველაფერი გასული საუკუნის მეშჩანური პრეტენზიების გადმონაშთია: ბევრი ფულის დაუხარჯავად შექმნან ილუზია მდიდარი, „დახვეწილი“ და ძვირფასად მორთულ-მოკაზმული ბინისა. სწორედ იმ დროიდანაა შემორჩენილი საცხოვრებელ ბინებში სურათების გამოფენის მოწყობაც: ბებიაბაბუების და დედიშობილა ბავშვების, „ოქროს“ ბაგეტებში ჩასმული რეპროდუქციების და ნაქარგი სურათების სიმრავლეში ლამის იძირება ბინის კედლები.

შედარებით ახლად შემოსულია ე. წ. საფეხურიანი თაროები, რომელსაც ხან საჭიროებისამებრ, ხანაც სულ უადგილოდ იყენებენ—ავსებენ და აზიმზიმებენ საშინელი თაბაშირის ფიგურებით.

ასეთი თაროები კედელზე მიმაგრებულ სარკეებთან უფრო გამოგვადგებოდა (ნახ. № 2), სადაც მისი პრაქტიკული გამოყენებაც იქნებოდა შესაძლებელი, მაგალითად, ტუალეტის ჯაგრისებისა და სარჭების დასაწყობად.

თაროებით შეიძლება ლამაზად გავაფორმოთ სასადილო ოთახის ან ნიშის კედელი და ზედ მოვათავსოთ დეკორატიული კედლის თეფშები ან კერამიკის სხვა ნაწარმი (ნახ. № 6). ჯერჯერობით კი, პლასტმასის თეფშებს აშკარა უგემოვნობის დაღი აზის. ამიტომ მათი „გამოფენის“ მოწყობას უნდა ვერიდოთ.

თანამედროვე ნახატიანი დეკორატიული თეფშები ძალზე ამშვენებს კედელს. მაგრამ ეს საფეხურიანი თაროები მათთვის მეტად მცირე ზომისა იქნება. ასეთი თაროების მაგივრად ამ შემთხვევაში უმჯობესია სადა და მოგრძო ჩვეულებრივი თარო გამოვიყენოთ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ კერამიკული თეფშების კედელზე მიკვრა ისედაც


4


5


6


7


8



შეიძლება ყოველგვარი თაროს გარეშე, პირდაპირ კედელზე (ნახ. № 5).

თეფშების ნაცვლად კედლის მოსართავად შეიძლება გამოვიყენოთ კედლის ლარნაკებიც. ასეთი ლარნაკები თავის სილამაზეს დაკარგავს, თუ მათ ყვავილებით გადავტვირთავთ. ერთი ან ორი ღერი ყვავილი კი თვით ვაზის სილამაზეს გამოყოფს მკვეთრად. კედლის ვაზა საწოლთან არ უნდა დავკიდოთ. ეს უხერხულობას ქმნის, ძნელი ხდება წყლის გამოცვლა. ვაზები არც მაღალი ავეჯის ზემოთ არ უნდა დამაგრდეს. უფრო ლამაზად გამოიყურება კერამიკული ვაზები, თუ მათ სასადილო ან საწერ მაგიდასთან დავკიდებთ, ან სრულიად ცარიელ კედელზე მივამაგრებთ (ნახ. № 7).

თავისთავად ცხადია, რომ კედლის ვაზა ორიგინალური, დეკორატიული და გემოვნებით შესრულებული უნდა იყოს.

ლამაზად შეიძლება მოირთოს კედელი მცირე ზომის დეკორატიული ხალიჩითაც, თუ მას ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად დავკიდებთ (ნახ. № 3, 4, 5). რიგის „მაქსლას" („ხელოვნება") კომბინატის მაღაზიებში შეგიძლიათ შეიძინოთ შესანიშნავი ხალიჩები თანამედროვე მოხატულობისა, რომლებსაც ჩვენი სახალხო ოსტატები ქმნიან. ლატვიაში ბევრია ისეთი ნიჭიერი მქსოველი, რომლის ნახელავიც თამამად დაამშვენებს თანამედროვე გემოვნებით მოწყობილ ყოველ ბინას.

ასევე კარგად გამოიყურება კედელზე ჭილის ან ჩალისაგან დაწნული ხალიჩები, ან ფერადი ჭინჭებისაგან ნაკეთები ხალიჩები. მაგრამ ახლა დეკორატიულ ხალიჩებს ისე ნუღარ დავკიდებთ, როგორც წინათ — პირდაპირ ნუ გავხვრიტავთ ლურსმნით. კედლის ხალიჩას ჯერ ფიცრის ვიწრო ნაჭერზე ამაგრებენ და მერე თვითონ ამ ფიცარს აჭედებენ კედელზე.

ბინის კედლების გაფორმებისთვის იყენებენ გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა ნაწარმს: სურათებს, ნახატებს, ლითოგრაფიას, ხეზე ამოჭრილობას... შავ-თეთრი ფოტოსურათი, ისევე როგორც შავ-თეთრი გრაფიკა, ყველა ფერის კედელს მოუხდება. მთავარია, კარგად მოვიფიქროთ ამ ნამუშევრების დაჯგუფება კედელზე.



2

PADOMJU LATVIJAS SIEVIETE

მცირე ზომის გრაფიკული ნაწარმოებები ან ფოტო შეიძლება ერთ რიგში დავკიდოთ, ისე, როგორც ნაჩვენებია № 7 ნახატზე. ერთად შეიძლება დაიკიდოს 1-დან 7-მდე გრაფიკული ნახატი. უფრო მეტის რიგში დაკიდება უკვე მოსაწყენი იქნება.

თუ თქვენ ერთადერთი დიდფორმატიანი სურათი გაქვთ, ის შეიძლება ასე დავკიდოთ (ნახ. № 8). არაა აუცილებელი, რომ სურათი კედლის სიფართის ან მოწყობილობის სხვადასხვა საგნების სიმეტრიულად დავკიდოთ. ასიმეტრიული, თავისუფალი განლაგება, ჩვეულებრივ, მხედველობისათვის უფრო სასიამოვნოა.

თანამედროვე ბინას ყოველგვარი სურათი როდი მოუხდება! ხელოვნების ნაწარმოებები უნდა შეირჩეს არა მარტო შინაარსით, არამედ ტონებითაც, რომ საერთოდ მთელ ბინას შეეწყოს. უნდა მოვერიდოთ ფართო, ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოებს, რომლებიც ძალიან იშვიათად უხდება თვით სურათებს. ყველაზე ხშირად აკვარელი და გრაფიკა უკეთესად მაშინ გამოიყურება, როცა ის უბრალო მინაშია ჩასმული, სრულიად უჩარჩოოდ.



3

ჩვეულებრივ, მთავარი შეცდომა კედლების მორთვაში გამოწვეულია იმით, რომ კედლები ძალიან გადატვირთულია ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საცხოვრებელი სახლი მუზეუმი არაა და ხელოვნების ნაწარმს ბინაში მხოლოდ ერთი დანიშნულება აქვს — სასიამოვნოდ გააფორმოს კედელი, გახადოს საცხოვრებელი ლამაზი და მყუდრო და აჩვენოს დიასახლისის კარგი გემოვნება.

არქიტექტორი ლ. კნაპე



# შემთხვევითი დისკუსია

იუმორესკა

ქალაქში განა ვინმეს რჩება დრო, რომ ავდრის მოახლოვება შეამჩნიოს? შორიდან მოღწეულ გრუხუნს ყურადღებას არავინ აქცევს და მაშინაც კი, როცა ღრუბლები მთლად დაბლა ჩამოწვება, ისე დადიან, ლაპარაკობენ, ვაჭრობენ, თითქოს აქ არაფერიაო. თავქარიან გამვლელებს მხოლოდ კოკისპირული წვიმა თუ შედენის საფარქვეშ. „ჩამოიქცა ცა და ეს არიო",—მოჰყვებიან წუწუნს და საათსა და ზეცას შეჰყურებენ. მაგრამ რას იზამ, მოცდაა საჭირო, ვერაფერს გახდება კაცი!

სუვოროვის ქუჩის ერთერთი გადახურული ჭიშკრის ქვეშ, სადაც სხვა დროს მხოლოდ გაქუცული კატა თუ იკადრებდა მიბრძანებას, ზემოაღწერილი სიტუაციის გამო 7 კაცისგან შემდგარმა ჭრელმა საზოგადოებამ თავშესაფარი იპოვა და აბობოქრებულ სტიქიონს იქიდან დაუწყო ცქერა.

მაგრამ ეს არაჩვეულებრივი სანახაობა მალე მობეზრდათ; როცა ნიაღვარმა უკანასკნელი ფოთლები და პაპიროსის ნამწვავები ტროტუარიდან წარეცხა, შვიდივე შემობრუნდა და ერთმანეთს დაუწყო თვალიერება.

აქ გახლდნენ: ხანშიშესული ბრგე მამაკაცი შლიაპითა და გულდაგულ შელებილი ფუმფულა წვერით; დედაბერი სტაფილოთი და ბატის თათებით მორთული ბადით; ძვირფას კოსტუმში გამოწყობილი ჩასუქებული, მხიარული მელოტი კაცი, რომელსაც ღორის ტყავის პორთფელი ამოეჩარა იღლიაში; გაურკვეველი ასაკის მანდილოსანი ქალიშვილითურთ; ხელოსანი ფორმის სველ ტანსაცმელში და ბოლოს, შავბერეტიანი ყმაწვილი, ეტყობა მხატვარი, რომელსაც ჭიშკარზე ახალი, ჯერ შეუღებავი ბაგეტი მიეყუდებინა.

ყველაზე აქტიური ხელოსანი აღმოჩნდა, სწრაფად აათვალიერ-ჩაათვალიერა თვითეული, ბოლოს იმ საგანზე შეჩერდა, რომელიც ჭაბუკს ჰქონდა თან და მხიარულად განაცხადა.

—ეს საგანი ჩემთვის ცნობილია, ყმაწვილო! ჩარჩოა ეს, სურათების ჩარჩო და სხვა არაფერი, — პირველი სიტყვები მოულოდნელად წამოიყვირა, რის გამოც თვითონაც შეხტა და სხვებიც შეახტუნა. მერე თითქოს პატიებას ითხოვსო, თხრობა დაიწყო:

—სამ წელს ვიმუშავე კომენდანტად საშუალო სკოლაში. თვითონაც მოგეხსენებათ, საქმე ინვენტართან მექნებოდა! აი, ამ სურათებისაგან ბევრი უსიამოვნება შემხვედრია. პირველ წელს, როგორც წესი, ყველა ჩარჩო მოვაოქროვე. მაგრამ როგორც კი ეს დირექტორმა ნახა, თავისთან გამომიძახა და მოჰყვა ღრიალს: ყეყეჩო, მთელი სურათები დამიღუპეო. შეიძლება მართალიც იყო, მაგრამ მე ხომ ცუდი არ მინდოდა. თუმცა არც თვითონ გაეგებოდა ბევრი: ერთხელ ცნობილი მხატვრის სურათი იყიდა და თავდაყირა დაკიდა. ხუთი წელი ეკიდა ასე საცოდავად, თანაც სამასწავლებლოში. ერთხელ ეს მხატვარი მოიწვიეს, მოსწავლეებთან შეხვედრა მოუწყეს. მოვიდა და რას ხედავს, თავისი სურათი უკუღმა არ ეკიდა!

აბა, ამაზე რაღას მიბრძანებთ?!... ზღვის პეიზაჟი იყო დახატული.

— დაიწყეს რაღა, სურათები, —სიტყვა წაართვა მსუქანმა მანდილოსანმა.— ლაქები და რაღაც ნაჩხაპნებია მარტო. მაყურებელი კი თითქოს შტერი იყოს, ვერაფერს ხვდება. აი, ჩემი ინტოჩკა გაცილებით უკეთ ხატავს. არც სილამაზე, არც აზრი. ასეთი ნახატი მუქთადაც არ მინდა.

წვერებიანმა ბრგე მოხუცმა ხელი ასწია:

—მოითმინეთ, მოითმინეთ. სურათს წესიერად უნდა შეხედვა! — მოხუცმა ჯერ მოიხსნა, მერე ისევ გაიკეთა სათვალე. — არსებობს განსაკუთრებული წესები, რომელთა საშუალებითაც ბევრი გაუგებარი რამ სავსებით ნათელი ხდება, ერთხელ მუზეუმში გახლდით და გიდმა გვკითხა:

— გაქვთ პროგრამები? დაახვიეთ და მილიდან შეხედეთ სურათს, ყველაფერი ნამდვილად გამოჩნდება! და მართლაც შესანიშნავი დაისი ვიხილეთ. მერე ისეთი დაკემსილი სურათი გვიჩვენეს, რომ ვერაფერი ვერ გავარჩიეთ; ვიღაც ჭკუანაკლულს ექვს ადგილზე გაეჭრა. აბა, ყველა უვიცს როდი ეცოდინება ასეთი რამ. კიდევ ერთი სურათი ვნახეთ (სურათს ერქვა „ქალი ლურჯ ტანსაცმელში"). სურათიდან ქალი პირდაპირ გიყურებს. გაიწევი მარჯვნივ, ახლა მარჯვნიდან დაგიწყებს ცქერას. მე და ჩემმა ნაცნობმა ცდაც კი მოვახდინეთ: ორივე სხვადასხვა მხარეს გავიწიეთ, რომელს შეგვხედავსო. გამოირკვა, რომ ქალი ორივეს ერთდროულად გვიყურებდა!! მერე გიდმა გვითხრა: მხატვარმა სურათზე მაგიური მზერა აღბეჭდაო.

ლაპარაკში ახლა მსუქანი კაცი ჩაერია. ოღონდ ჯერ ყველა მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით შეათვალიერა:

— გიდები ყოველთვის აფრენენ! რას არ გაიგონებს კაცი მათგან. ერთხელ ერთმა ბებრუცუნამ, რომელსაც აბრეშუმის ზონარზე სათვალე ჰქონდა ჩამოკიდებული, ფრანგული სურათების გამოფენაზე გვითხრა: თუ გულდაგულ დააკვირდებით, უმსუბუქეს და უნაზეს მუსიკას გაიგონებთო. ჩვენ, რაღა თქმა უნდა, შევეცადეთ, მეტისმეტი მონდომებისაგან თვალებიც კი მივლულეთ, ნეტა მართლა თუ დაიწყებს სურათი დაკვრასო?... გაგიტყდებით, რომ საკუთარი ცხვირის ქსუტუნის მეტი არა გაგვიგია რა.

— ეგეთებს გოგრაში მართლა უბზუით რაღაც! — გაჯავრებული ხმით გამოეხმაურა დედაბერი, თავსაფრის ბოლოები მაგრად გაიჭირა, ბატის თათებიანი ბადე ცხვირამდე ასწია და ნიკაპი მოწკუპა.— მხატვრები ცოტა ისეთები არიან. მაგათ ისევ გიჟი თუ გაუგებს. აი, თუნდაც ჩემი მეზობლის ქალიშვილი ავიღოთ. ძალიან ირჩევდა საქმროებს. ეს მაღაზიის გამყიდველიო, ეს ბუღალტერიო, ერთხელ ნამდვილი ინჟინერიც კი შეეძლია. გაგიგონიათ, აინუნშიაც არავის აგდებდა. ადგა და ერთ მხატვარს გადაეკიდა. წვერებიანი, გაბუძგული, გრძელი თმით! ამას წინათ ძველი ხურჯინივით გადამეკიდა, გინდა თუ არა თქვენი პიროვნება უნდა დავხატოო. რომ აღარ მომეშვა, ავდექი და ჩემი სურათი მივართვი. მერე და რა?! ახალგაზრდა არა ნებავს თურმე; გინდა თუ არა, ბებერი უნდა დაგხატოო!...

— სწორია, მხატვრები მართლაც ხშირად არიან უცნაურები, — თავის კანტურით განაცხადა გაურკვეველი ასაკის მანდილოსანმა და ოდნავ გაწითლდა. — ხან აღტაცებაში მოგიყვანენ, ხან კი ვერაფერს ვერ გაუგებ!...

— მხატვრისთვის ტალანტია აუცილებლად საჭირო! — წარმოსთქვა მხიარულმა კაცმა. — არცერთი კომბინაცია არ გამოუვათ ტალანტის გარეშე. ისე ვერც ჭამა-სმას შესძლებენ და ვერც ჩაცმას. ჰოდა, რამე პრაქტიკულ საქმეს უნდა მოკიდონ მაშინ ხელი. ყველაფერს, მე მგონი, მკერავობა ჯობია. აი, ჩემი დისშვილი, ბრწყინვალე მხატვარი იყო. რასაც გინდა ქაღალდზე იმას დაგიხატავდა, ზუსტად ისე, როგორც ფოტოსურათშია. ჩემი დაც ადგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღირსი მოსავალი



თბილისის 66-ე რუსული საშუალო სკოლის დირექტორს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მასწავლებელს, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანს მარიამ ივანეს ასულ მახარაძეს კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოებრიობის ფართო წრეები.

მარიამ ივანეს ასულის ყოველი გაკვეთილი წარმოადგენს მაღალკვალიფიციური მასწავლებლის შემოქმედებითი მუშაობის იშვიათ ნიმუშს. იგი არა მარტო ღრმად და საფუძვლიანად ასწავლის მშობლიურ და რუსულ ლიტერატურას, არამედ მოზარდ თაობას უვითარებს პატრიოტიზმის, კოლექტიურობის, შრომისმოყვარეობის, ალალმართლობისა და თავმდაბლობის ძვირფას ჩვევებს.

მარიამ მახარაძის პედაგოგიური მოღვაწეობა მარტო დიადი კომუნისტური მომავლის ადამიანის აღზრდით როდი შემოიფარგლება. როგორც სკოლის დირექტორი და მეთოდისტი, უნარიანად ხელმძღვანელობს თავის ახალგაზრდა კოლეგებს, რომელთა შორის ბევრი მისი ყოფილი მოსწავლეა, უზიარებს მათ თავისი ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილებას. ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის ის გულითადი მეგობარი და მრჩეველია.

* * *

...ბავშვობიდან ოცნებობდა მარიამი მასწავლებელი გამხდარიყო. ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის მოსწავლე, მშობლიურ სოფელ ვანში საზაფხულო არდადეგებზე ჩასული, შემოიკრებდა ადგილობრივ გოგო-ბიჭებს და მათ უფროსი ადამიანივით უკითხავდა ან უყვებოდა. სოფლის ანცებმა მას ზედმეტ სახელად „მასწავლებელი" შეარქვეს.

მკვირცხლი და ნიჭიერი გოგონა ყველა საგანს ერთნაირი წარმატებით სწავლობდა, მაგრამ რატომღაც განსაკუთრებით ლიტერატურა და გეოგრაფია იზიდავდა. შეიძლება ეს იმიტომ, რომ ლიტერატურისა და გეოგრაფიის მასწავლებლები ეკატერინე ქუთათელაძე და სატო ბუტულოვა ჭკვიანი, კეთილი ადამიანები იყვნენ, რომლებმაც შესანიშნავად იცოდნენ თავიანთი საგნები; შეიძლება იმიტომაც, რომ პატარა მარო ხშირად წმინდა ბავშვური გატაცებით ოცნებობდა მოგზაურობებზე და ჩუმად, თავისთვის პატარ-პატარა ლექსებსა და მოთხრობებსაც თხზავდა. მაგრამ თუ მარიამი პოეტი ან მოგზაური არ გამოვიდა ამაში ბრალი მიუძღვით მის საყვარელ მასწავლებლებს, რომელთა პედაგოგიური მოღვაწეობა ახალგაზრდა ქალიშვილისათვის იდეალად იყო გადაქცეული...

და არავის — არც მშობლებს, არც ნაცნობ-მეგობრებს არ გაკვირვებიათ, როცა 1922 წელს 16 წლის გოგონამ დაამთავრა თუ არა საშუალო სასწავლებელი, იმავე წლის სექტემბრიდან გეოგრაფიაში პირველი გაკვეთილი გაძლსცა. ეს იყო ქალაქ ბათუმში — პირველ საშუალო სკოლაში. სკოლის დირექტორი ირაკლი ღლონტი ცოტა არ იყოს შიშობდა, ვაი თუ ახალგაზრდა მასწავლებელს „აურიონ" ცელქმა მოსწავლეებმაო. მაგრამ შიში ამაო გამოდგა... ახალგაზრდა მასწავლებელმა არამარტო საგნის ღრმა ცოდნა გამოამჟღავნა, არამედ, რაც არანაკლებ მთავარია, პირველი გაკვეთილიდანვე დაუახლოვდა, დაუმეგობრდა თავის მოსწავლეებს.

ახალგაზრდა კომკავშირელი მასწავლებელი პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად აქტიურად ებმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში: თავდაპირველად იგი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად, ხოლო პარტიაში შესვლის შემდეგ საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის ქალთა სექტორის გამგედ, მალე ენერგიულ პედაგოგს აწინაურებენ ქ. ბათუმის ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორად. ამავე დროს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იგი წარმატებით ამთავრებს ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებას. ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ჯერ კიდევ 1941 წელს მარიამ მახარაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება,

ღვაწლმოსილი პედაგოგი და აქტიური საზოგადო მოღვაწე მარიამ ივანეს ასული მახარაძე 1938 წლის ივნისში ერთხმად იქნა არჩეული აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის სესიაზე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. შემდგომ წლებში პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად მარიამ მახარაძე სხვადასხვა პასუხსაგებ საბჭოთა და პარტიულ სამუშაოზეა — ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგედ, საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის კადრების განყოფილების გამგედ, აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ, ბათუმის მასწავლებელთა სახლის გამგეობის თავმჯდომარედ.

1945 წლიდან დღემდე მარიამ მახარაძე უცვლელად მუშაობს დედაქალაქის 66-ე რუსული საშუალო სკოლის დირექტორად და ლიტერატურის მასწავლებლად. 66-ე საშუალო სკოლა, რომელიც ენგელსის ქუჩაზე, კომკავშირის ხეივნის ძირას მდებარეობს, ერთერთ სანიმუშო სკოლად ითვლება მთელს რესპუბლიკაში. აქ 12 სხვადასხვა ეროვნების 2000-მდე მოსწავლე ეუფლება მეცნიერების ძირითად საფუძვლებს. სახალხო განათლების სისტემის ახლებურად გარდაქმნის შესახებ კომუნისტური პარტიის მიერ მიღებული კანონის ცხოვრებაში გატარების მიზნით მარიამ ივანეს ასულმა სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა: სკოლის პრაქტიკაში დაინერგა ექსპერიმენტულ-ლაბორატორიული მუშაობა, ბავშვთა შრომა სასწავლო-საწარმოო ნაკვეთზე, სახელოსნოებში და ფაბრიკა-ქარხნებში, შეიქმნა სადურგლო სახელოსნო, მანქანათმცოდნეობის, ხელგარჯილობის კაბინეტები და მრავალი სხვა.

მშობლიური მზრუნველობით დატრიალებს თავის მრავალრიცხოვან აღსაზრდელებს სკოლის დირექტორი: იგი იცნობს თითქმის ყველა მოსწავლეს, იცის მათი სახელი და გვარი; ისიც კი იცის, თუ ვინ სად ცხოვრობს, აკითხავს მათ სახლებში, როცა ეს აუცილებელია.

უფროს, გამოცდილ აღმზრდელს — მარიამ მახარაძეს მხარში უდგანან ახალგაზრდა მასწავლებლები მზია გვიჩია, იზაბელა დუბროვსკაია, დონარა მანუკიანი, ლია გოლოვინა, როზანა სვეტლანოვა, ნატაშა მელიქიანი, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინათ ამავე სკოლაში მარიამ ივანეს ასულის უშუალო ხელმძღვანელობით სწავლობდნენ. მარიამ ივანეს ასულის ბევრი ყოფილი მოსწავლე ახლა რესპუბლიკაში ცნობილი ადამიანია.

სკოლაში მარიამისთვის მეორმოცე სექტემბერია. მონატრებია აღმზრდელს მოსწავლეების ხმაური; მოვიდნენ, ეზო აახმაურეს, საკლასო ოთახები დაირბინეს, მის დანახვაზე შეჩერდნენ და თავაზიანად უთხრეს სალამი.

**დ. გველესიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

PADOMJU LATVIJAS
SIEVIETE

და სამხატვრო სკოლაში მიაბარა. ორი წელი იარა და მობეზრდა. იმათ ხომ თვითონაც არ იციან, რა უნდა მოთხოვონ ბავშვს. ბიჭი მოვიდოდა და დედას ეკითხებოდა, პროპორცია რა არისო. მოითათბირეს და გამოიყვანეს სკოლიდან.

— ესეც არაფერი, ახლა როგორ მტრობენ ერთმანეთს! — წამოიძახა ხელოსანმა. — ერთ მხატვარს სკოლაში დაჰქონდა სურათები და საკმაოდ შეღავათიან ფასებში ჰყიდდა: გედები, ყვავილები, პეიზაჟები. მხატვართა კავშირმა გაუგო და აუკრძალა, მხატვართა კავშირის წევრი არა ხარო. შევეკითხეთ: შენც ვერ შეხვალ ეს კავშირია თუ რაღაცა-თქო? ხელი ჩაიქნია: „რამდენჯერ ვცადე, მთელი ბანდაა იქ თავშეყრილი, ინტრიგებია მხოლოდ! წყნარ და წესიერ კაცს იმათთან არ დაედგომება“...

— ჰო-ო, — გააგრძელა მხიარულმა. — კავშირის წევრები, რაღა თქმა უნდა, ერთმანეთს აქებენ. მაგრამ ხალხი რას ამბობს? ირბიტი — აი, ვინ იყო ყოჩაღი. მშვენივრად გრძნობდა თავს ყოველგვარი საზოგადოებებისა და კავშირების გარეშე. მერე და ვერ გაიკაფა გზა თუ? ხალხი იცნობდა მას. ირბიტი მთელი წელი ფეხშიშველი დარბოდა. ზაფხულში ზამთრის პეიზაჟებს ხატავდა, ზამთარში კი ზაფხულისას ამზადებდა. ირბიტი და პურვიტი — ვიღა არ იცნობდა მათ!

— შიშკინსაც და აივაზოვსკისაც, — დაუმატა მანდილოსანმა, — ქალი გედით! რა წარმტაცი რამეა!

ცოტახნით სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე წვეროსანმა დაარღვია:

— მე თუ მკითხავთ, ყველაფერზე უფრო პორტრეტები არ მომწონს. თუმცა ხანდახან ხდება ხოლმე, ისტორიული პიროვნებების პორტრეტები მომეწონება, მათი შეხედვა ღირს, მაგრამ ძირითადად უცნობ პირებს ხატავენ. ბევრი კი, მე მგონია, გამოგონილიც არის. მოდი და შეამოწმე! სულ სხვა რამეა პეიზაჟი, თუმცა მოტყუება აქაც შეიძლება. ერთხელ, როგორღაც ქუჩაში მომუშავე მხატვარი შევნიშნე. აიღო და ერთი სახლის თხუპვნას მოჰყვა. შევეკითხე: — ბოდიში, ხომ ვერ მეტყოდით, რატომ ხატავთ ამ სახლს? საკუთარია, თუ პატრონმა შეგიკვეთათ? ანდა იქნებ ხა, ხა, ხა, თქვენი საყვარელი ცხოვრობს აქ-მეთქი?

—არაო,— მეუბნება, — ისე ვხატავო.

— აბა, იცით, რას გეტყვით, — ვეუბნები, — კომპოზიცია მოიკოჭლებს; არც პეიზაჟია, არც აკვარელი. უნდა იცოდე, რისთვის აკეთებ რამეს. ერთ ჟურნალში წავიკითხე, ვითომ ვიღაც მხატვარს ქვისაგან დედაკაცი გამოექანდაკებინოს და განეცხადებინოს, ეს შიშველი ქალი საბერძნეთიაო...

— ფუ, აღარ შემიძლია ამ უსირცხვილობის ყურება! — ნაკბენივით წამოხტა დედაბერი. — შეიძლება ასეთი უნამუსობის კედელზე დაკიდება? ბავშვებმა უნდა შეხედონ, ღმერთო, მიშველე!

მხიარული კაცი სიცილით გადაიქცა.

— კარადაში უნდა შეინახოთ, დედი! —ხარხარებდა ის.—ჩემი მეგობარი თერძი ნახევარლიტრიანის გარეშე არავის არ უჩვენებს. დიახ, მაგრამ ის საქონელი გახლავთ... — უცბად მოიღუშა და თავი ჩაღუნა, თითქოს პორთფელის გასაღებს ათვალიერებსო.

—ერთი რამ ვერ გამიგია! რა უსინდისო უნდა იყოს ქალი, რომ პოზირებაზე დათანხმდეს.—არ ცხრებოდა დედაბერი.—მე პირადად რამდენი ფულიც არ უნდა მომცენ, რომ მომკლან კიდეც, არ დავთანხმდები.

— იქნება ისინიც, — თითქოს ნამუსის მოწმენდას ცდილობსო, ისე თქვა წვეროსანმა, — თუმცა არსებობენ ქალებიც, რომლებიც ყველაფერზე თანახმანი არიან.

— გაჩუმდით, რაკი არაფერი არ გესმით ქალის გულისა! სილამაზის დაფასების უნარი არა გაქვთ. რატომ არ ლაპარაკობთ, მაგალითად, ყვავილებზე? — წამოიძახა მსუქანმა მანდილოსანმა შეურაცხყოფილი, ცრემლნარევი ხმით და გოგონა მიიკრა.—რად არ კითხულობთ, რატომ იშლებიან ყვავილები, სანამ დაჭკნებოდნენ? თქვენ ის გინდათ, რომ მხატვარმა ტრაქტორი, გაზის მილები და ნაკელით სავსე ურემი დახატოს! რა არის ამაში ლამაზი?!

— არა, ჩვენ ამას არ ვითხოვთ! — წამოიძახა რამდენიმე ხმამ ერთდროულად. — მაგრამ რატომ უნდა დახატო ყვავილები, თუკი მათი ჩადება ლარნაკშიც შეიძლება? ანდა რატომ არ უნდა დახატო ტრაქტორი, თუკი ის ერთ წუთში მთელ მინდორს ხნავს?! გაზის მილების დახატვა შეიძლება თუ არა, ამას ჩვენ ვერ გეტყვით. დიახ! მაგრამ ჩვენ ასეთი აბსტრაქტული სურათებიც გვინახავს. დიახ, დიახ — ფუტურიზმი.

— ჩუ! რას გვეტყვის ამაზე ჩარჩოიანი ყმაწვილი? — ზრდილობიანი და ლაქუცა ხმით დაიწყო ლაპარაკი კომენდანტმა, — ის ეტყობა მხატვარია. ჩვენ კი ჯერ მისი აზრი არ გაგვიგია.

ყველა ყმაწვილისკენ შებრუნდა, რომელიც კედელთან იდგა და შეშინებული სახით იყურებოდა.

კითხვის გამომხატველი სიჩუმე ჩამოვარდა; თითქოს ჯარისკაცებმა ერთმანეთის საპირისპირო პოზიციები დაიკავეს, კიდევ ერთი წუთი და ბრძოლა გაჩაღდება. ჭაბუკმა უკვე ტუჩებიც ააცმაცუნა, მაგრამ ამ დროს გოგონას მხიარული ხმა გაისმა:

— დედიკო, წვიმამ გადაიღო!

იმწამსვე აფუსფუსდნენ.

დანარჩენებმა გონზე მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ დედაბერი წკრიალა ასფალტზე გატყაპუნდა. დედაბერს მსუქანი კაცი მიჰყვა, თან გამომშვიდობებისას თავაზიანად გაიღიმა. წვეროსანი მედიდური ნაბიჯით დაიძრა. მანდილოსანმა გოგონას ხელი ჩაავლო. კომენდანტმა ცა შეათვალიერა და დაჩხაპნილი კედლის გასწვრივ გაცურდა.

ბოლოს ჭაბუკი დარჩა. ერთი წუთით ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცას ზომავსო, მერე ბაგეტს დაავლო სწრაფად ხელი, მხარზე გაიდო და ფართო ნაბიჯებით ქუჩა გადაჭრა.

**უ. ზემზარი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთევან ირემაძე

ვათვალიერებ 1962 წლის მაგიდის კალენდარს. 21 სექტემბრის ფურცელზე აღნიშნულია: „1912 წ. დაიბადა ქეთევან ნიკოლოზის ასული ირემაძე. თვალსაჩინო ქართველი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე. დაბადების 50 წლისთავი. გარდაიცვალა 1945 წელს“.

პირად ცხოვრებაში ბავშვივით ფაქიზი და ხელშეუხები, კაცმოყვარე, მგრძნობიერი, გულისხმიერი, საზოგადო საქმიანობაში დაუცხრომელი, შემოქმედებითი ცეცხლით ანთებული, მშობლიური ქვეყნის სიყვარულით მუდამ შთაგონებული, ასეთი იყო ქეთევან ირემაძე. სრულიად ახალგაზრდა წავიდა იგი ჩვენგან.

სულ ათიოდე წელს მოიცავს მისი მოღვაწეობა. მით უფრო გვაოცებს იგი მრავალფეროვნებითა და დიდნაყოფიერებით. 32 წლისას მას უკვე თვალსაჩინო მწერლისა და ლიტერატურათმცოდნის სახელი ჰქონდა მოპოვებული. გულს გვაკლია გაფურჩქვნის დასაწყისშივე დამჭკნარი მისი ხალასი ნიჭი, თვალს გვაკლია დალუპული მისი სილამაზე. ეს საერთო გულნაკლულობა მგრძნობიერი ლექსებით გამოხატეს ქართველმა პოეტებმა. ადრე დალუპულ ნიჭსა და სილამაზეზე სევდას გვამცნობს ქეთევან ირემაძისადმი მიძღვნილი შალვა აფხაიძის ლექსის სტრიქონები:

მაგონდება შენი წარბი,
წარბქვეშ თვალი ხავერდისა,
ცის რტო იყავ — ცის ლაჟვარდში
გაშლილიყავ არ გეღირსა.

ამასვე გვაგრძნობინებს იოსებ ნონეშვილის ლექსის ხმიერი სტრიქონები:

...ეს გახსენება ახლა სულ სხვაა. —
პროსპექტზე მოდის ლამაზი ქალი.
ნეტავ ეს მისი მარაოს ხმაა,
თუ ნაღვლიანად შრიალებს ქარი.

თითქოს არის რაღაც საერთო ადამიანის ბედსა, მის გარეგნობასა და ქცევას შორის. არასოდეს არ გვინახავს ქეთევან ირემაძე ნელი ნაბიჯით მიმავალი. თეთრებში ან შავებში გამოწყობილი (ფერადი ტანისამოსი მას არ უყვარდა) იგი ყოველთვის მიიჩქაროდა, თითქოს მიჰქროდა. ასევე გაიელვა მისმა სიცოცხლემ, მისმა შემოქმედებამ. ახლა, როცა წარმოვიდგენ მის მოხდენილ თავს, ლირიკულად გადახრილს მოღერებულ ყელზე, მშვილდივით აზიდულ წარბებს მარმარილოდ ნაქანდაკარ შუბლზე, სევდიანს, გრძელი წამწამებით შებურვილ, დაბინდულ თვალებს, ყვავილაფერი ეს სიცოცხლის ადრე შეწყვეტაზე სინანულად მეჩვენება.

ცხრამეტი-ოცი წლის ასაკში თარგმანებითა და ნარკვევებით დაიწყო ქეთევან ირემაძემ მწერლობა და მდიდარი ერუდიციით, დახვეწილი ენით, ინდივიდუალური სტილით მაშინვე მიიქცია ყურადღება, საყოველთაო აღიარება პოვა. ეპოქის, წყაროების საფუძვლიანი ცოდნით არის დაწერილი ქეთევან ირემაძის ნარკვევები მიძღვნილი ბარბარე ჯორჯაძის, ნინო ორბელიანის, ეკატერინე გაბაშვილის, შიო არაგვისპირელის, ჭოლა ლომთათიძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. ახალგაზრდა მკვლევარმა უშუალოდ თვითონ მოიპოვა და გამოამზეურა ამ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლი ბევრი საინტერესო მასალა. მან დაადგინა ავტორი სასიმღეროდ ატაცებული ლექსისა „ისევ შენ და ისევ შენ“. ქეთევან ირემაძის კალამს ეკუთვნის ღრმა შინაარსიანი წერილები, წამძღვარებული მაღალი გემოვნებით შესრულებული საკუთარი თარგმანებისადმი. ახალგაზრდა მწერლის შემოქმედების ძირითადი თემა ქალია. ქალის მდიდარ ბუნებასა და მაღალ ინტელექტს მიეძღვნა წერილები „ჩერქეზი ქალი აისე“ და „ქართველი ქალები“. ამავე პრინციპით შეარჩია მან სათარგმნი ლიტერატურაც. ქეთევან ირემაძის ოსტატურად შესრულებული თარგმანებით შეემატა ქართული წიგნების თაროს ფრანგული ლიტერატურის შედევრები: აბატ პრევოს „მანონ ლესკო“, ალექსანდრე დიუმას „ქალი კამელიებით“, ბენჟამენ კონსტანის „ადოლფი“, დენი დიდროს „რამოს ძმისწული“, გი დე მოპასანის მოთხრობები. რუსული ლიტერატურიდან — ი. ტინიანოვის „კუხლია“. ქეთევან ირემაძემ აამეტყველა რუსულ ენაზე ეგნატე ნინოშვილის ლიტერატურული გმირები — გააცნო რუს მკითხველს თვითმპყრობელური რეჟიმით სულშეხუთულ ქართველ გლეხთა საცოდავი ყოფა. ქეთევან ირემაძის თარგმანები შადერლო დე ლაკლოს „სახიფათო კავშირნი“, ბალზაკის „ოცდაათი წლის ქალი“ და მერიმეს „კარმენი“ არ არის გამოქვეყნებული. თარგმანებში, ისევე როგორც საკუთარ ნაწერებში, ქეთევან ირემაძე არის საკუთარი თავისადმი უაღრესად მომთხოვნი შემოქმედი, სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატი, საკუთარი, ახალი ფრაზის მაძიებელი.

ქეთევან ირემაძე თაყვანისმცემელი იყო ცნობილი ქართველი მწერლის გერონტი ქიქოძისა. „მანონ ლესკოს“ თარგმნა მას გერონტი ქიქოძემ შთააგონა. ერთერთ თავის უკანასკნელ წერილში გერონტი ქიქოძემ მაღალი შეფასება მისცა ქეთევან ირემაძის მხატვრულ თარგმანს.

ქეთევან ირემაძის ბრწყინვალე თარგმანით არის შთაგონებული სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის მგრძნობიერი ლექსი „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“. პოეტმა ეს ლექსი ქეთევან ირემაძეს უძღვნა.

ქეთევან ირემაძე შემოვიდა ლიტერატურაში ჭეშმარიტი შემოქმედის მოწოდებით, სილამაზის ღრმა განცდით. მას თან მოყვა ქალური სათნოება და გულისხმიერება. ქართული მწერლობის დიდ ოჯახში მან მოკრძალებით შედგა ფეხი, როგორც ქალის ღირსების ქომაგმა. ქალის მომხიბლავ თვისებათა მხატვრული განზოგადოების გვირგვინს მოველოდით ისტორიული რომანიდან „ქეთევან“. ჭეშმარიტი შემოქმედის, ღრმა განცდის მხატვრის რწმენით ალავსო მკითხველი ამ რომანის გამოქვეყნებულმა თავებმა. სიმამაცისა და სიმტკიცის, ამავე დროს ქალური კდემამოსილების საოცარი შერწყმა არაჩვეულებრივი მხატვრული სიძლიერით და ფსიქოლოგიური ანალიზის შესანიშნავი უნარითაა ნაჩვენები მძვინვარე შაჰის ბრძანებით დასაშანთად განწირული დედოფლის განწყობილებასა და წამების შემზარავ სცენაში.

დიდი სამამულო ომის შფოთიან დღეებში უკვე მძიმე სენით შეპყრობილი მწერალი ქალი მისთვის ჩვეული დაძაბულობით მუშაობდა ამ რომანზე. მას სწამდა, რომ ამით იგი უშუალოდ მონაწილეობდა სამშობლოსათვის თავგანწირულ ბრძოლაში. მართლაც, ლიტერატურული გაზეთის ფურცლებიდან საბრძოლო მოწოდებად გაისმა ამ რომანის თავები: „მუხრანში“, „ნიშის ხევთან“, „კოცონზე“.

ქეთევან ირემაძეს შეგნებული ცხოვრების არც ერთი დღე არ გაუტარებია უშინაარსოდ. გამოჩენილი მწერლების, კომპოზიტორების, მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების შეკრება მის მყუდრო ბინაზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე საუბრები ამ შეკრებებზე, ნათელ მოგონებად დარჩათ მის მეგობრებს. ქეთევანი აგრეთვე ბავშვების დიდი მეგობარიც იყო. საკუთარ ბინაზე ხშირად მართავდა მათთვის მხატვრული თვითმოქმედების დილებს.

სევდიან მოგონებად, მაგრამ ქალის მაღალი ინტელექტის ღრმა რწმენად დამრჩა ქეთევან ირემაძესთან გატარებული დღეები. მე უშუალოდ ვაკვირდებოდი საყვარელი მეგობრის შემოქმედებით წვას. ჩემს თვალწინ შეიქმნა მისი რომანის თავი „ნიშის ხევთან“. 1948 წელს მასთან ერთად მოვიარე გრემი, დავათვალიერე მისი სიძველენი. მაგონდება ქეთევანის გულისხმიერების და-

მახასიათებელი ერთი მომენტი. გრემში წასვლისას თელავში შევიარეთ. იქ მაშინ პოეტი ქალი მაყვალა მრევლიშვილი ისვენებდა.

ქეთევანს განსაკუთრებით უყვარდა მაყვალა. დიდად აფასებდა მის პოეზიას. ეამაყებოდა, რომ ახალგაზრდა ქალი, ორი შვილის დედა, არაჩვეულებრივი პოეტური ხედვით, მადლიანი ქართული სიტყვით იმსახურებდა ხალხის სიყვარულს. მაყვალასაც გულით უნდოდა ჩვენთან ერთად მოევლო გრემი, მაგრამ ვერ მოხერხდა. ქეთევანმა სევდა შენიშნა მეგობარს. გრემში მას არ ასვენებდა ფიქრი პოეტი ქალის სევდაზე. გრემიდან დაბრუნებისას კვლავ შევიარეთ თელავში. ამჯერად მაყვალა მხიარულ გუნებაზე იყო. ქეთევანი დაამშვიდა მეგობრის კარგმა განწყობილებამ.

გრემში ქეთევანი წარსული ტრაგედიის ღრმა განცდით აკვირდებოდა სიძველეთ. მღელვარებით წარმოიდგენდა ქეთევან დედოფლისა და სამშობლოს მოღალატე კონსტანტინეს ბრძოლის ადგილს. შორეულ წარსულში გადასული გასცქეროდა ილთას ბილიკებს, ლაკოს გზას, იისფრად ჩაქუფრულ ნიშის ხევს, უხაროდა, რომ მასთან ერთად მეც განვიცადე გრემის სიძველენი. უხაროდა, რომ რაღაც ფარული და იდუმალი აკავშირებდა ჩვენს გრძნობებსა და მისწრაფებებს. მე მაშინ სადოქტორო დისერტაციაზე ვმუშაობდი. ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ავირჩიეთ ისტორიული თემები, — მან მხატვრულ, მე კი მეცნიერულ შემოქმედებაში. ერთდროულად გვიხდებოდა მუშაობა ამ დიდ თემებზე. სადოქტორო დისერტაციის მასალების მიხედვით წითელარმიელთა ბიბლიოთეკისათვის დიდი სამამულო ომის დღეებში გამოვაქვეყნე ბროშურა და ვუძღვენი მეგობარს. მეორე დღეს მთხოვა შემევლო მასთან. თხოვნა შევუსრულე. მარტო დამიხვდა. ქართულად გაშლილ სუფრაზე სანოვაგესთან ერთად ლიტერატურული გაზეთი და ჩემი ბროშურაც იდო. გაზეთის იმ ნომერში მისი რომანის თავი „ნიშის ხევთან“ იყო დასტამბული. თვითონ უჩვეულო გუნებაზე იყო. ფარავდა შინაგან მღელვარებას. თუმცა, ისე როგორც სხვა დროს, არც ახლა ლაპარაკობდა ავადმყოფობაზე. მხნეობდა მომავალზე. ლალისფერი ღვინით აავსო სასმისები. მე ხშირად ვიგონებ, თითქოს ცხადად ვისმენ მისი წყნარი, შთამაგონებელი ხმით წარმოთქმულ სადღეგრძელოს „ქართულ მიწაში ფესვგამდგარ ვაზზე დახხმული ყურძნის წვენით ვლოცავ ჩვენს მომავალ წიგნებს. ახლა, ამ სუფრაზე ამ წიგნების მხოლოდ ნაწილებია. მალე აქვე ერთიმეორის გვერდით გვეხილოს ორი წიგნი, ერთი შენი, სადოქტორო, ყავისფერ ყდაში, მეორე — კი ჩემი რომანი ცისფერ ყდაში“. ახლა სინანულით ვუყურებ ჩემს მაგიდაზე მეგობრის მიერ წინასწარ დალოცვილ ჩემს წიგნებს. ერთი მართლაც ყავისფერ ყდაშია, მის გვერდით კი არ არის ჩემი მეგობრის წიგნი... ბევრ კარგ ჩანაფიქრთან ერთად მან თან წაიღო ოცნება ცისფერ წიგნზე. ერთ წიგნად აკინძული მისი ნაშრომები „ლიტერატურული მედალიონები“ საოცნებო ცისფერი წიგნის თავებსაც შეიცავს.

**1945** წლის **19** აგვისტოს, კვირას, დილის 7 საათზე შეწყდა ქეთევან ირემაძის გულის ცემა. როდესაც სამუდამოდ დაუკრიფეს გულზე თავისი ნაზი, მაშვრალი ხელები, ღია სარკმლიდან მერცხლები შემოფრინდნენ ანაზდად, შემოავლეს კამარა ჯერ კიდევ თბილ სხეულს და ისევ სივრცეში გაიჭრნენ. თუ სიკვდილს შეიძლება ახლდეს სილამაზე, მაშინ ეს შემთხვევაც ქეთევან ირემაძის ლამაზი სიცოცხლის ლამაზი დასასრული იყო.

პროფესორი **ქსენია სიხარულიძე**

## სარედაქციო ფოსტიდან

# სიტყვა თქვენ გეკუთვნით

### ჩემო უცნობო მეგობარო

თქვენი ოჯახური უთანხმოების ამბავმა მეც შემაწუხა და მინდა ჩემი აზრიც გამოვთქვა.

თქვენი გულისტკივილი გასაგებია, მაგრამ (მაპატიეთ, თუ ვცდები!), ჩემი აზრით, ამგვარი უთანხმოება ცოლ-ქმარს შორის არც ისე იშვიათია! ბევრი ვიცი ისეთი მამაკაცი, რომელსაც „ოჯახის მეთაურობა“ უკუღმართად ესმის და თავის უფლებებს ისე იყენებს, თავის თავს ისე განუზომლად მაღლა აყენებს ცოლზე და შვილებზე, რომ ოჯახის წევრებისათვის ეს ამბავი პირდაპირ უბედურებად იქცევა ხოლმე.

მაგრამ გაშორდეთ, ოჯახი დაანგრიოთ?

მე ამას ვერ გირჩევთ ვერც თქვენ, ვერც თქვენს მეუღლეს.

რა თქმა უნდა, იმას რა სჯობს, რომ ყველა მამაკაცი ისეთი იყოს, როგორც ჩვენ გვინდა (და, ასე მგონია, მათთვისაც უკეთესია!). მაგრამ ჩემის აზრით, თქვენს მეუღლეს არ გააჩნია ისეთი თვისებები, რომლის ატანა არ შეიძლებოდეს. ბუზღუნაა, უხასიათო? თქვენც შეეცადეთ შეასრულოთ ყველაფერი ისე, როგორც მას სურს, დაამზადეთ ისეთი კერძები, როგორიც მას უყვარს. თუ განერვიულებული ხართ, ეცადეთ ეს არ გაამჟღავნოთ, ნუ მიაქცევთ დაუმსახურებელ საყვედურს ყურადღებას—თქვენ თვითონ ხომ იცით, რომ ის არ დაგიმსახურებიათ. მოითმინეთ, ნუ გასცემთ პასუხს, ან მოიბოდიშეთ წყნარად.

ბოლოს და ბოლოს ის ნაწილობრივ მაინც გარდაქმნის თავის ჩვეულებებს. მოითმინეთ. თქვენ ხომ უკვე დედა ხართ. შვილებისთვის კი აუცილებელია მამა.

თქვენ შეიძლება შვილს მატერიალურად შეუქმნათ ნორმალური პირობები, მაგრამ მამის ადგილს მაინც ვერასოდეს შეუვსებთ.

ამიტომ ორივემ სძლიეთ საკუთარ თავს და შეინარჩუნეთ ოჯახის მთლიანობა.

**ელენე თავზარაძე-აბესაძისა,**
სამშენებლო ბანკის ქუთაისის განყოფილების მმართველი.

### გ თ ხ ო ვ თ...

მე მსურს თქვენი შვილების სახელით გესაუბროთ. მე მინდა ისინი მხიარულნი, ბედნიერნი და უზრუნველნი იყვნენ. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ჩემი ბავშვობა მაგონდება: უმამოდ გავიზარდე, წამოვიზარდე თუ არა, დავდარდიანდი, შევნატროდი ბავშვებს, მამა რომ ჰყავდათ.

მე ახლაც ხშირად ვფიქრობ, რომ ჩემს ხასიათს სამუდამოდ დაეტყო ჩემი ბავშვობის ულიმღამო წლები. რაც უნდა მხიარული ვიყო, მაინც ვგრძნობ, რომ ჩემი სიხარული არაა სრული, ჩემს განწყობილებას მაინც ადგას წარსულის ჩრდილი. და ამიტომ გთხოვთ: იფიქრეთ მხოლოდ იმაზე, რომ ბავშვებისათვის ზრუნავთ. თქვენს ბავშვებს, ალბათ, მაინც უყვართ თავისი მამა. ცოტაც მოითმინეთ და როცა ისინი გაიზრდებიან, მე მჯერა, რომ ისინი იქნებიან თქვენი სულიერი მეგობრები და სავსებით აგინაზღაურებენ იმას, რაც ახლა გაკლიათ.

**ნათელა გიორგობიანი,**
ზოოტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი. სიღნაღის რაიონი.

---

* გრძელდება დისკუსია წერილის ირგვლივ, რომელიც დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის ა. წ. მაისის ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბიბლიოთეკარის გამოცდილებიდან

# დეიდა ვარა

თავის დროზე დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი საგანგებოდ გამოეხმაურა სასკოლო ბიბლიოთეკების დაარსების საქმეს. წერილში „საჭირო განმარტება“ ბიბლიოთეკებს მან „გონებრივი სალაროები“ უწოდა.

მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში დიდია სასკოლო ბიბლიოთეკების როლი. მხატვრული ლიტერატურა, რომელსაც ბავშვს ბიბლიოთეკაში აწვდიან, თუ სწორად არის შერჩეული და დროზეა მიწოდებული, აყალიბებს მოზარდის ცოდნას, აფართოებს გონებრივ ჰორიზონტს, ზრდის გემოვნებას, ძერწავს ხასიათს.

სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის საუკეთესო ნიმუშს იძლევა თბილისის 1 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა, რომელსაც უკვე 25 წელია ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური ბიბლიოთეკარი ვარვარა მახარაძე. მისი მუშაობის ყველაზე დიდი შემფასებლები სკოლის პატარა მკითხველები არიან. ისინი შესვენების დროს ჟრიამულით ავსებენ სამკითხველო დარბაზს, სიხარულით ეხვევიან დეიდა ვარას, უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს და გულმოდგინედ ისმენენ მის ახსნა-განმარტებას, დარიგებას.

განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობა ბიბლიოთეკარი იმ მოსწავლეებს, რომლებიც პირველად აღებენ ბიბლიოთეკის კარებს. ესენი პირველკლასელები არიან, რომლებსაც საანბანო პერიოდის დამთავრების შემდეგ შეუძლიათ იკითხონ პატარა მოცულობის საბავშვო მოთხრობები და ლექსები.

ჩვენ საშუალება მოგვეცა დავსწრებოდით მოსწავლეთა ერთ-ერთ ასეთ პირველ დღეს სკოლის ბიბლიოთეკაში, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს კოლექტიური სვლა ბიბლიოთეკაში.

მასწავლებელმა შეიყვანა პირველი კლასის მოსწავლეები სამკითხველო დარბაზში, თვითეული მათგანი გააცნო ბიბლიოთეკარს, ილაპარაკა მათ აკადემიურ წარმატებებზე, დისციპლინაზე, შემდეგ ბიბლიოთეკარმა აჩვენა მოსწავლეებს ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი, სამკითხველო დარბაზი, ბელადის და მწერალთა კუთხეები, წაუკითხა გამოჩენილი ადამიანების აზრები წიგნის მნიშვნელობაზე: „წიგნები იძლევიან ცოდნას, ცოდნა კი ძალაა“ (კრუპსკაია), „გიყვარდეთ წიგნი, იგი გაგიადვილებთ ცხოვრებას, მეგობრულად დაგეხმარებათ, იგი შეგასწავლით პატივისცემას ადამიანისა და საკუთარი თავისადმი“ (მ. გორკი) — ამ წარწერებითაა დამშვენებული ბიბლიოთეკის კედლები.

დეიდა ვარამ მოსწავლეთა ყურადღება შეაჩერა იმ ქართველ კლასიკოს მწერლებზე, რომელთა სურათები ამშვენებს სამკითხველო დარბაზს. შემდეგ იგი შეუდგა ჟურნალის მიხედვით ახალი აბონემენტების გახსნასა და შევსებას. მოსწავლეები ხალისით ეწერებოდნენ მკითხველთა რიგებში...

შემდეგი სტუმრობისას ბიბლიოთეკარი ესაუბრა მოსწავლეებს იმ წიგნებზე, რომლებიც მათ სახლში წაიკითხეს, გააცნო სხვა მოსწავლეთა შთაბეჭდილებები ამ წიგნებზე, აუხსნა, თუ როგორ უნდა წერონ ასეთი შთაბეჭდილებანი.

დეიდა ვარა განსაკუთრებით უფრთხილდება შთაბეჭდილებების რვეულებს, სადაც მოსწავლეები თავიანთ აზრებს აყალიბებენ, აფასებენ ნაწარმოების ამა თუ იმ გმირს.

1 კლასის მოსწავლე ალექსანდრე ფარულავა „წითელქუდას“ წაკითხვის გამო წერს: „წავიკითხე ზღაპარი „წითელქუდა“, მომეწონა. გამიხარდა, რომ ბებია და წითელქუდა მგელს გადაურჩნენ“. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1 კლასის მოსწავლეები გარკვეულ პროტესტს გამოთქვამენ დასაძრახისი საქციელის გამო. მოსწავლე თეიმურაზ თაბუკაშვილი წერს: „წავიკითხე ი. გოგებაშვილის მოთხრობა „ვანო და ნიკო“. ამ მოთხრობაში ის ადგილი არ მომეწონა, სადაც პატარა ვანომ მტრობა გამოიჩინა ნიკოს მიმართ, ბუდე ჩამოუშალა, ესროდა ქვებსა და ჯოხებს, მოსვენებას არ აძლევდა, აფრთხობდა“.

აზრის გადმოცემის უშუალობით გვხიბლავს ზოგიერთი მოსწავლის შთაბეჭდილება. აი, ერთი მათგანი — II კლასის მოსწავლე ბადრი შაშიტაშვილი „არსენას ლექსის“ წაკითხვის გამო წერს: „არსენას ებრალებოდა ღარიბები და ეხმარებოდა მათ. იგი იყო გულადი, მოხერხებული და ღონიერი. ბოლოს შემეცოდა არსენა, რომ ღალატით მოკლეს. ისე მომეწონა ეს ლექსი, რომ სამჯერ წავიკითხე და ზეპირად ვსწავლობ.“

V კლასიდან მოსწავლეები ადგენენ სხვა სახის შთაბეჭდილებათა რვეულებს, ე. წ. დღიურებს, რომლებშიც გვაძლევენ მოქმედი გმირების დახასიათებას, წერენ მოკლე რეცენზიებს. ამით ბიბლიოთეკარი აღწევს იმას, რომ მოსწავლეებს აჩვევს იფიქრონ წაკითხულ წიგნებზე, ლოგიკურად გამოხატონ თავიანთი აზრები და შეხედულებები, ნაწარმოებში მოცემული სიტუაცია.

ბიბლიოთეკარი ყურადღებით არჩევს კლასგარეშე საკითხავ სარეკომენდაციო წიგნებს. ითვალისწინებს რა თვითეული კლასის მოსწავლეთა კითხვის ინტერესს, ახალი წიგნების ხარისხს და სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა საერთო განვითარების დონეს, იგი ყოველთვის სასწავლო წლის დასაწყისისათვის ახდენს სარეკომენდაციო წიგნების სიების გადახალისებას, ადგენს საკითხავი წიგნების ახალ სიებს.

სასკოლო ბიბლიოთეკა თავის მუშაობაში ითვალისწინებს ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი ჟურნალ-გაზეთების გამოშვებას. ბიბლიოთეკარის უშუალო ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა გაამზადეს ფერადილუსტრაციებიანი ჟურნალები კლასიკოსი მწერლების — ილიას, აკაკის, ვაჟას, ი. გოგებაშვილის და სხვათა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ბიბლიოთეკარი გულისხმიერ რჩევას აძლევს მოსწავლეებს არა მარტო წაკითხულ წიგნებზე, არამედ კითხვის ჩვევებსა და კულტურაზე, მიმართავს საუბრის არა მარტო კოლექტიურ, არამედ ინდივიდუალურ ფორმას.

დეიდა ვარას მიმართ მადლიერების გრძნობით არიან გამსჭვალული 25 წლის მანძილზე ამ სკოლის კედლებში აღზრდილი თაობები. ისინი დღესაც დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენიებენ სკოლის ბიბლიოთეკას და თმაჭაღარა ადამიანის მზრუნველ სახეს.

ელისო კაკაბაძე,

პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ეროვნული

მოგითხრობთ ქალთა საბჭოს მუშაკები

# როცა გული არ ისვენებს



დღეები შეუმჩნევლად მისდევენ ერთმანეთს და შენ ვერ გრძნობ, როგორ ილევიან წლები. შეუმჩნევლად გეპარება თმაში პირველი ვერცხლის ძაფი და მხოლოდ მაშინ, როცა თეთრად დაგათოვს, უკან მიხედავ წარსულს და იტყვი, რომ სიცოცხლე ყველას ერთნაირად უყვარს, მაგრამ სხვადასხვანაირად გრძნობენ მას ადამიანები. ერთთათვის იგი ძვირფასია იმიტომ, რომ სიხარული მოაქვს; მეორე ცდილობს მან მოუტანოს ბედნიერება სხვას, მაშინ აქვს მისთვის სიცოცხლეს ფასი.

ყველა თავისებურად ფიქრობს და სხვადასხვანაირად ალამაზებს ცხოვრებას.

მე მახსენდება ერთი შეხვედრა. გარეთ ჩვეულებრივი თბილისური გაზაფხული იდგა. იყო დილა, მაგრამ ხალხი მაინც გამოფენილიყო რუსთაველის პროსპექტზე. ალბათ იმიტომ, რომ გაზაფხული ჩვენს ქალაქში პირველად აქ შემოდგამს ხოლმე ფეხს.

ჩემს წინ ხანშიშესული, თმაშევერცხლილი ქალი მიდიოდა. კინო „სპარტაკთან" შეჩერდა და უცბათ კარებთან ატუზულ პატარა ბიჭუნას წაავლო ხელი. ბიჭი დაიბნა, რადგან ქალი დაჟინებით ეკითხებოდა რაღაცას. მე დავინახე როგორ გაუსხლტა იგი და ხანშიშესული ქალი უკან დაედევნა. ბიჭი მობრუნდა და მოულოდნელად შეჩერდა, რადგან მოხუცმა გულთან მიიტანა ხელი. ახლა ერთად იდგნენ და ბიჭი აღარ აპირებდა გაქცევას.

— უყურეთ ამ ვაჟკაცს! 10 საათია, სკოლაში, ალბათ, მეორე გაკვეთილი დაიწყო, ეს კი კინოში სეირნობს. ახლა ერთად შევალთ კლასში და შემდეგ შენს მშობლებს მოველაპარაკები, — წყრომით თქვა მან და ისინი წავიდნენ. გადასასვლელზე დაშორდნენ ერთმანეთს, რადგან ბიჭი ბავშვური გულუბრყვილობით სავსე მრგვალი თვალებით რაღაცას ემუდარებოდა. პირდებოდა და აასრულებდა კიდეც დანაპირებს, ეს იცოდა კარგად ნინომ, იმიტომ გაუშვა, მაგრამ მეორე დღეს თურმე მაინც არ დაავიწყდა შეემოწმებინა პატიოსანი სიტყვა.

კარგია, როცა ადამიანი გულგრილად ბრ აუვლის გვერდს გზააცდენილს, როცა გულთან ახლო მიიტანს სხვის გაჭირვებას, ხელს გაუწვდის, ფეხზე წამოაყენებს და საოცრად გაკვირვებული, დამცინავ მზერას გაატანს ყველას, ვინც იტყვის, რომ ეს მისი საქმე არ არის.

• • •

გაკვეთილები უკვე კარგახანია დამთავრდა. ბავშვები სახლში წასვლას მაინც არ აპირებენ. ისინი საკლასო ოთახში მერხებს უსხედან და ციფრებით აჭრელებენ დაფას. აქ არ მიდის ჩვეულებრივი გაკვეთილი, მასწავლებელი არ შემოდის ჟურნალით ხელში და არ სწერს ნიშანს:

აქ შემოღებულია სწავლის გახანგრძლივებული დღე.

ახლა საშინაო დავალებას ამზადებენ ბავშვები და ყურადღებით უსმენენ დეიდა ნადიას. ის ლაპარაკობს დინჯად, დაბალი ხმით. ეთერ თაფლიაშვილი მაინც რაღაცით უკმაყოფილოა, მაინც გაურკვეველია მისთვის რაღაც და ნადია თხილავაც მის რვეულებთან იხრება, მის გვერდით ჯდება და ახლა მხოლოდ ეთერისათვის ხსნის ამოცანას.

მეორე დღეს არავინ მიდის გაკვეთილზე მოუმზადებელი, არავინ იწერს ქურდულად ამოცანას დასვენებაზე.

არავის სჭირდება კარნახი...

ბავშვები კვლავ რჩებიან გაკვეთილების შემდეგ და ბედნიერი სახეებით ახარებენ დეიდა ნადიას, ამაყად უამბობენ როგორ ჩააბარეს გაკვეთილი მასწავლებელს, ლიანა ძიძიშვილმა ხუთი მიიღო, ნაილი მუსერიძემ ოთხი. რომ დღეს ძნელი ამოცანა აქვთ ამოსახსნელი...

არ ირეკება ზარი, ისე იწყება გაკვეთილი და ჯერ კიდევ გაუმართავი ხელით ნაწერი სტრიქონებით ივსება დაფა...

მშობლები სამსახურში არიან, მუხლჩაუხრელად შრომობენ და იციან — ქუჩა ვერ წაართმევს მათ შვილებს ძვირფას წუთებს, რადგანაც ვიღაცამ იზრუნა ამაზე.

დრო ჩქარა გარბის დეიდა ნადიასთან და სახლში გამოხურული კარები აღარ ხვდებათ ბავშვებს.

თმათეთრი მასწავლებელი ნელა აუყვება სახლისკენ მიმავალ აღმართს, ჩაიმუხლებს, გაჰყვება ფიქრებს და იგრძნობს, რომ წლებს არა აქვს მნიშვნელობა, რომ მაინც ვერ დასთმობს ამ პატარა სახეებს, სიყვარულს გაუყოფს და მათთან გაატარებს დღეს. პენსიაზე გავიდა უკვე კარგახანია, მაგრამ დასვენება რა სათქმელია ისეთებისათვის, როგორიც ნადია თხილავაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



• • •

ქალს საქმეს რა დაულევს სახლში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალი წევრი მოემატება ოჯახს. ბედნიერება შემოვა შენთან და ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობ მას, თუმც დაირღვა ჩვეულებრივი წესრიგი ოთახში: არეულია მაგიდა, აქა-იქ მიყრილია სათამაშოები, ყურმოტეხილი ჭიქა... ის კი ბაჯბაჯით დადის და რაღაცას ბუტბუტებს, საქმიანობს, რაღაცას ეძებს, პოულობს და ისევ კარგავს.

ახალი ბედნიერება შემოვიდა სახლში და ახლა ვეღარ წახვალ ისე თავისუფლად კინოში, თეატრში, მეგობართან... მაშინ, როცა მხოლოდ 20 წლისა ხარ და გულს იქით მიმალული ახალგაზრდული სურვილი მაინც გახსენებს თავს.

ქალი ყველაზე კარგად გაუგებს ქალს და გამოსავალსაც იპოვნის.

ლუბა საყვარელიძეც ყოფილა ახალგაზრდა, გაჭირვებაც გადაუტანია და ბედნიერადაც უგრძვნია თავი. სწორედ ამიტომაა, რომ იგი სულ ახალ-ახალ საინტერესო ღონისძიებებს იგონებს „კარჩაკეტილ" დიასახლისთა გასართობად.

საზეიმოდ მორთული ოფიცერთა სახლის დარბაზი. თანდათან ემატებიან ქალები, მოდიან ხანშიშესულები, მოხუცებიც და ახალგაზრდებიც. დღეს კალინინის რაიონის მუშა-მოსამსახურე და დიასახლისი ქალებისათვის ეწყობა დასვენების საღამო.

გვერდით ბავშვთა ოთახში მხიარულად თამაშობენ პატარები, ჟინიანად ეტანებიან სათამაშოებს, ყველაფერი აინტერესებთ, ყველაფერს ხელით ეხებიან... დარბაზში კი ლამაზად ატარებენ დროს დედები და არ ღელავენ, რადგან ნორჩები საიმედო ხელებს ჩააბარეს.

კმაყოფილნი რჩებიან კალინინის რაიონში მცხოვრები დიასახლისი ქალები, როცა მიდიან ექსკურსიებზე ერევანში, რუსთავში, გორში, ისვენებენ თბილისის ზღვაზე, აწყობენ ხელსაქმისა და ხელგარჯილობის ნიმუშების გამოფენას, ხვდებიან მსახიობებს, წარმოების მოწინავე ადამიანებს, ისმენენ საინტერესო ლექცია-საუბრებს და სწავლობენ ჭრაკერვას ელისაბედ ვეფხვაძისაგან... შემდეგ კვლავ ახალ გეგმებზე ფიქრობენ.



• • •

ახლა ზაფხულია და მცხუნვარე მზე სახეს უწვავს თბილისს. მოსწავლეები დაითხოვეს. ზოგი ზღვაზე გაემგზავრა, ზოგმა მთას მიაშურა. ბევრი დარჩა ქალაქში, საჭიროა მათაც არ იგრძნონ მწველი მზე, თავისუფლად ირბინონ, ისუნთქონ სუფთა ჰაერი...

და კალინინის რაიონში არიან ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ ამაზე: იწერენ ბავშვების გვარებს, აგროვებენ მათ და აწყობენ დასასვენებელ მოედანს პიონერთა სასახლეში. შუამდგომლობენ მცირეხელფასიან მშობელთა შვილებისათვის პიონერთა ბანაკებში უფასო საგზურების მიცემის შესახებ.

• • •

ისინი კალინინის რაიონის ქალთა საბჭოს წევრები არიან: ნინო გაბუნია, პატარა ბიჭი რომ შეაჩერა კინოთეატრთან, ნადია თხილავა, გულმოდგინედ რომ ამეცადინებს ჩამორჩენილებს, საყოფაცხოვრებო სექციის ხელმძღვანელი ლიზა ვეფხვაძე, ვენერა მეგრელიშვილი, ალექსანდრა ასათიანი-შულგინა, ქეთევან აბაშიძე, ნინო აფაქიძე, თამარ მასურაძე, ქალთა საბჭოს მდივანი ნინო ზაქარეიშვილი, ელენე რობაქიძე.

ქალთა საბჭო კალინინის რაიონში 1959 წელს შეიქმნა. მას აქვს სამი სექცია: ბავშვთა შორის მომუშავე, საყოფაცხოვრებო და კულტ-მასობრივი სექციები, რომლებსაც გამოცდილი პედაგოგი-პენსიონერები და დიასახლისები ხელმძღვანელობენ. მათ აღრიცხვაზე ჰყავთ აყვანილი რაიონის სკოლებში აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები და მათთან სისტემატურ მუშაობას აწარმოებენ, გადაჰყავთ ისინი სწავლის გახანგრძლივებულ დღეზე. ჯაფარიძის ქუჩაზე, იქ სადაც კალინინის რაიონული საბჭოს აღმასკომის შენობაა, პირველ სართულზე არის პატარა ოთახი, რომელიც ყოველთვის ხალხმრავალია. „ქალთა საბჭოს ოთახი" — ვკითხულობთ კარებზე. აქ იკრიბებიან ისინი. ერთი კუთხე გამოყოფილი აქვს ბიბლიოთეკას. საბჭოს წევრებმა საკუთარი ინიციატივით შექმნეს იგი. ყოველწლიურად მატულობს წიგნის ფონდი და ბიბლიოთეკის გამგე ე. კირიჩენკო ღიმილით ხვდება დიასახლისებს, მოსწავლეებს, სთავაზობს მათ წიგნებს, მათთან ერთად კამათობს, არჩევს, აწყობს მკითხველთა კონფერენციებს...

ჩუმად და უპრეტენზიოდ აკეთებენ ქალები დიდსა და კეთილშობილურ საქმეს... და შეუცვლელად ხელმძღვანელობს, ქალთა საბჭოს მთელ მუშაობას წარმართავს ვენერა მეგრელიშვილი.

იქ, მახაბლის ქუჩაზე, რომელიღაც ეზოში დავიწყდათ დროზე გაეტანათ ურნა. ელბაქიძის დაღმართზე № 15 სახლის ეზო უსუფთაოა. საჭიროა ფარდულების სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შემოწმება. სადღაც უბრალო საზიარო სათავსოებისათვის ჩხუბობენ მეზობლები და ვერ რიგდებიან. ვენერა მეგრელიშვილს და ალექსანდრა ასათიან-შულგინას ყოველთვის შეხვდებით ასეთ ადგილას. მათ ყველგან იცნობენ და სიყვარულით ეგებებიან, რადგან ისინი და მათი მეგობრები საკუთარ სიტყვას ამბობენ, სიტყვას კი საქმე მოსდევს და ყველას სჯერა ამ ხანშიშესული, თმაშევერცხლილი ქალებისა, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე შრომობენ და დიდი ადამიანური სითბოსათვის მადლობასაც კი არ თხოულობენ.

ლია თევზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

PADOMJU LATVIJAS SIEVIETE

# ტანი და ტანსაცმელი



1



2



3



4

ბედნიერია ქალი, რომელსაც ლამაზი, პროპორციული ტანის მოყვანილობა აქვს — მისთვის ადვილია ტანსაცმლის ფასონის შერჩევა. სამწუხაროდ, ეს ბედნიერება ყველა ჩვენგანის ხვედრი როდია.

ხშირად ჩვენი ტანის ესა თუ ის ნაკლი, გვაიძულებს თავი ვიტეხოთ ისეთი ფასონის შერჩევაზე, რომელიც დაფარავს ჩვენი ტანის დეფექტს.

ამჯერად შევეხებით ამ დეფექტების ზოგიერთ სახეს.

თუ ყელი ვიწრო და მაღალი გაქვს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატარო მოგრძოდ და ღრმად ამოჭრილი კაბა. საყელო მაღლა აწეული ჭრილით კისერს ადაბლებს (ნახატი № 1).

მ ხ რ ე ბ ი. ზოგიერთ ქალს ძალიან ფართო, მამაკაცური მხრები აქვს. ერთ დროს — „ბამბის მხარსადების ბატონობისას" ასეთი აღნაგობა მეტად ხელსაყრელი იყო. მაგრამ ახლანდელი მოდები, დახრილი მხრის ხაზზე მიდგმული სახელოები ასეთი აღნაგობის ქალს დიდ გასაჭირში აგდებს.

ყოველშემთხვევაში, უნდა ვერიდოთ ძალზე ფართოდ ამოჭრილი დეკოლტეთი და მხრებს ქვემოთ მოკერებული სახელოიანი კაბის ტარებას, რადგან ასეთი სახელოიანი კაბა კიდევ უფრო აფართოებს ბეჭებს. ფართო მხრები რომ დაიფაროს, რეკომენდებულია კიმონოს ან რეგლანის ტიპის სახელოიანი კაბის ტარება. და თუ მაინცდამაინც მიკერებული სახელოს ტარება სურთ, მაშინ მხრის ხაზს ამოკლებენ, ე. ი. სახელოს აკერებენ უფრო მაღლა. (ნახატი № 2).

სრულიად საწინააღმდეგოდ უნდა მოიქცეს ვიწრო მხრებიანი ქალი. ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია მხრების დაგრძელება ან გაფართოება დალიანდაგებული ტილოს პატარა მხარსადებით. ვიწრო მხრებიანი ქალისათვის რეკომენდებულია განივად ამოჭრილი დეკოლტე.

მ კ ე რ დ ი. ქალს, რომელსაც ძალზე პატარა და ჩამორეცხილი მკერდი აქვს, სამი საშუალებით შეუძლია ქალური იერი მიანიჭოს თავის ტანს:

ბიუსტგალტერის ჯამებს გარედან დაავიწროს წვრილ-წვრილი არშიებით.

კოსტუმის ზედა ტანს გაუკეთოს დაგვირისტებული ან აშვებული ნაკეცები.

არ უნდა ატაროს სადა, ტანზე მომდგარი და მუქი ფერის კოსტუმი.

წ ე ლ ი. რა თქმა უნდა, კარგია, როცა წელი ნორმალურ ადგილზე გვაქვს. ამჯერად ჩვენ შევეხებით გადახვევების 3 შემთხვევას.

თუ ქალს წელი მაღლა აქვს, მაშინ ტანის ზედა ნაწილი შეუსაბამოდ მოკლედ გამოიყურება. ასეთი ტანის ქალმა რეკომენდებულია ატაროს თავისუფალი კაბა დაგრძელებული წელით, რაც ფარავს წელის ნამდვილ მდებარეობას (ნახატი № 3).

ზოგჯერ წელიცა და მენჯიც ზომაზე დაბლა მდებარეობს. ასეთ შემთხვევაში კოსტუმის წელს ოდნავ ამაღლებენ, ქამართან ნაკეცებს აწყობენ ან თავისუფალ ნაფენებს უკეთებენ და ამრიგად, წელის ეს ნაკლი იფარება (ნახატი № 4).

ხანშიშესული ქალის წელი ხშირად ზევითაა აწეული და ამიტომ ტანი გამოყვანილ კაბაში ცუდი ჩანს, ზოგჯერ მახინჯიც. ასეთ შემთხვევაში ქალმა უფრო თავისუფალი ფორმის, დადაბლებული წელიანი ტანსაცმელი უნდა შეიკეროს. (ნახატი № 5). ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმასაც, რომ ზედაწელის წინამხარე არ იყოს ზურგის მხარეზე მოკლე.

მ ე ნ ჯ ი. ხშირია მენჯჩავარდნილი ქალები, ვიწრო ქვედატანი ან კაბა კიდევ უფრო უსვამს ხაზს ამ დეფექტს. ამ უბედურებასაც ეშველება, თუ მენჯთან ქვედატანს პატარა ნაჭერს დავუფენთ, რომელიც ბანდაჟს ან წინდების შესაკრავ ქამარს ქვევიდან მიეკერება. მაშინ მენჯი ისე ჩავარდნილი აღარ გამოჩნდება. (ნახატი № 6).

ბრტყელმენჯიანმა ქალმა არ უნდა ჩაიცვას ვიწრო და სწორი ქვედატანი. მიზანშეწონილია ატაროს კოსტუმი, რომელსაც უკან, ან ირგვლივ ნაკეცები აქვს.

თ ე ძ ო ე ბ ი. ძალიან ვიწრო თეძოებიან ტანზე ცუდად დგას მთლიანი ნაჭრისაგან გამოჭრილი ვიწრო კაბა და ქვედა ტანი.

ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია კაბის ქვეშ ქვედა კაბის ტარება, რომელსაც თეძოებთან მიკერებული ექნება არშიები. (ნახატი № 7).

ასეთ ქვედაკაბაზე გადაცმულ კაბაში წელი უფრო ვიწრო ჩანს, ტანი კი უფრო ქალური.

ვიწრო თეძოებიან ტანს ყოველთვის უხდება ირგვლივ ნაკეცებიანი კაბა.

ფ ე ხ ე ბ ი. ტანის ნაკლად ითვლება აგრეთვე როგორც ძალიან მსხვილი, ისევე წვრილი ფეხები. ორივე შემთხვევაში მიზანშეწონილი არაა ძალიან ვიწრო და მოკლე კაბის ტარება, რადგან ასეთ ტანსაცმელში ულამაზო ფეხები უფრო მკვეთრად ჩანს. ზომიერად განიერ და სულ ოდნავ მოგრძო კაბაში ფეხების ეს ნაკლი უფრო შეუმჩნეველი ხდება. (ნახატი № 8).



5



6



7



8

ეროვნული ბიბლიოთეკა







1. კაბა-კოსტუმი. ჟაკეტი გაწყობილია ბლუზის ქსოვილისავე თამასით. შეიძლება ატაროთ უქამროდ. ქვედატანი — მსუბუქი ნაფენებით.

2. წელში გადაუჭრელი კაბა მსუქანი ქალისათვის, გაწყობილია გვირისტით.

3. კაბა-კოსტუმი მსუბუქი შალისაგან. ჯემპრი გაწყობილია თავისივე ქსოვილის ფოჩებით ჰალსტუხი — რელიეფური გვირისტით.

4. კაბა მსუბუქი შალისაგან, წინ გადაუჭრელი, გვერდებზე ზედა ნაწილი გადაჭრილია და წააგავს ჯემპრს. ქვედატანი დაგვირისტებულია შემხვედრი ნაკეცებით.

5. კაბა მოკლე კოფთით, კუბოკრული ქსოვილისაგან. გაწყობილია რეპსის თასმით. შეიძლება ატაროთ უბლუზოდაც, მძივებით.

6. გამოსასვლელი კაბა მჭიდრონაქსოვი აბრეშუმის, მსუბუქი შალის, ან ხავერდისაგან. მიკერებული ქამარი გადმოშვებულია, კაბა გაწყობილია მანქანით შესრულებული აჟურული ნაქარგით.

მოდები **ნ. ალმაზოვასი**

კულინარია

# საახალწლო სასმელები

## კრუშონი

კრუშონი სასარგებლო და გემრიელი სასმელია. იგი ლამაზათ მატებს სუფრას. მისი დამზადება ძნელი არაა და თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ ასიამოვნოთ თქვენი ოჯახის წევრებს თუ სტუმრებს.

უველაზე გემრიელი კრუშონი მზადდება. ხენდროს, ატმისა და ფორთოხლისაგან.

სასმელის დამზადების წინ შერჩეული ხილი წინასწარ დაამუშავეთ.

ხენდრო ჯერ გარეცხეთ, მერე ყუნწებისაგან გაასუფთავეთ.

ატამი გათალეთ, კურკები გამოაცალეთ და ისე დაჭერით.

ფორთოხალი და ლიმონი ქერქისაგან გაანთავისუფლეთ, მრგვალ-მრგვალად დაჭერით, თან კურკები მოაცილეთ.

თუ თქვენ აიღებთ 1 კილო ხენდროს ან 1 კილო ატამს ან 1 ცალ ლიმონთან შერეულ 5-6 ცალ ფორთოხალს, სამივე შემთხვევაში ცალ-ცალკე ხილს 800-850 გრამი წმინდად დაწაყილი შაქრის ფხვნილი უნდა მოაყაროთ.

შაქარმოყრილი ხილი გრილ ადგილას გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში 1-2 საათით. ამის შემდეგ დაამატეთ 100 გრ კონიაკი, 100 გრ ლიქიორი, 1—2 ლიტრა ნატურალური წითელი ღვინო. 1 ლიტრი საუკეთესო ხარისხის თეთრი ღვინო.

ჭურჭელს მჭიდროდ დაახურეთ თავზე და ისე შედგით მაცივარში, ან გარშემო შემოუწყეთ ყინულის ნაჭრები.

სუფრაზე გატანის წინ 20 წუთით ადრე მას 1 ბოთლი გაციებული შამპანური დაამატეთ და ჭურჭელს კვლავ დაახურეთ უსათუოდ.

დალევის წინ დამზადებული კრუშონი ჩაის საწურში გაწურეთ. სასმისებში სპეციალური კოვზით ჩაასხით ისე, რომ შიგ ხილის თითო-ოროლა ნაჭერიც ჩააყოლოთ.

კარგი იქნება, რომ კრუშონი სუფრასთან სპეციალური ჭურჭლით მიიტანოთ.

კრუშონისათვის შაქრის ან კონიაკის ნორმაზე მეტი მიმატება არაა რეკომენდებული, ვინაიდან ისინი უფრო მეტი პროპორციით პუნშის დამზადებისას იხმარება.



## ცივი პუნში

600 გრ კარგად დანაყილ შაქარს დაასხით 5 ლიმონისაგან გამოწურული წვენი, დაამატეთ $^1/_2$ლიტრი კონიაკი, 2 ლიტრი მაგარი ცხელი ჩაის ნაყენი. მიღებულ მასას კარგად მოურიეთ, შემდეგ ყინულზე გააცივეთ. მაგიდასთან ცივ-ცივად მიიტანეთ.



## პუნში შამპანური ლიმონისაგან

800-850 გრ ფხვნილ შაქარს 2 ჭიქა ცივი წყალი დაასხით. დადგით ცეცხლზე. როცა წამოდუღდება, $^1/_2$ ლიტრი კონიაკი და 1 ლიტრი შამპანური, აგრეთვე 6 ლიმონისაგან გამოწურული წვენი დაამატეთ. შემდეგ გაწურეთ (ორკეც მარლის ნაჭერში ან ხელსახოცში).

სუფრასთან შამპანური-პუნში შეგიძლიათ მიიტანოთ, როგორც გაგრილებული, ასევე ყინულზე გაციებულიც.

## პუნში ფორთოხლისაგან

1 ცალ ფორთოხალს კანი შემოაცალეთ. დაჭრილ კანს 100 გრ კონიაკი დაასხით. ქვაბს სახურავი დაახურეთ და 8 საათით დადგით გრილ ადგილას. 400 გრ შაქარს 3/4 ჭიქა წყალი დაასხით და მისგან სიროპი მოადუღეთ, სიროპს 4 ცალი ლიმონისა და 2 ცალი ფორთოხლისაგან გამოწურული წვენი დაამატეთ. აგრეთვე 1 ჩაის ჭიქა საუკეთესო რომი და ის 100 გრ კონიაკი შეუზავეთ, რომელშიც ფორთოხლის კანი გქონდათ გაჩერებული. ყველაფერი ეს კარგად შეურიეთ ერთმანეთს, გაწურეთ და მერე დაუმატეთ ლიტრის 3/4 მაგარი ნაყენი ჩაი. მიღებული პუნში, ნებისმიერად, გრილი თუ ცივი სახით შეგიძლიათ მიირთვათ.

აღნიშნული სასმელების დამზადებისას, როგორც წესი, მომინანქრებული ჭურჭელი იხმარეთ.

ცეცილია ელიგულაშვილი,
ლიგია პაიჭაძე.

გარეკანზე — რიგა.
ჩანახატები ლ. შენგელიასი

რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VIII-62 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 1326 უე 05372

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.

PADOMJU LATVIJAS
SIEVIETE

# ლოგინი



















ბევრ მკითხველს აინტერესებს — როგორ უნდა გასწორდეს ლოგინი დღისით. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით ლოგინის გასწორების ისეთ „ნიმუშებს“, როგორიც ეს № 1 ნახატზეა ნაჩვენები. რა თქმა უნდა, ასეთი საწოლი ბინას სულაც არ ამშვენებს!

ჩვენი პირველი რჩევა იქნება უარი ვთქვათ ბალიშების გორაზე, რომელიც შეიძლება ოჯახის ბარაქაზე მეტყველებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში—არა გემოვნებაზე. ნუ გადააფარებთ ლოგინს თეთრი პიკეს საფარს, ხოლო ბალიშებს კი მაქმანიან გადასაფარებლებს. ლოგინის გასწორების ეს ხერხი ნამდვილად გემოვნებას მოკლებულია და დროა არქივს ჩაბარდეს.

№ 2 ნახატზე ნაჩვენებია ჩვენი პირობებისათვის შესაფერი ლოგინი. საწოლზე გადაფარებულია დეკორატიული ქსოვილისაგან შეკერილი გადასაფარებელი, ნაპირზე ნაოჭასხმული. ლოგინზე მოთავსდება მხოლოდ ერთი ბალიში იმავე ან მსგავსი ქსოვილისაგან გამზადებული გადასაფარებლით. ძილის წინ გადასაფარებელს, რა თქმა უნდა, იღებენ.

№ 3 ნახატზე ნაჩვენებია, რა სასიამოვნოდ გამოიყურება საწოლი, თუ მასზე შინ ნაქსოვ თხელი ხალიჩის ტიპის საფარს გადავაფარებთ. ამგვარ გადასაფარებელთან შესანიშნავად გამოიყურება ეროვნული ორნამენტით დამშვენებული ბალიშისპირიც.

№ 4 ნახატზე ნაჩვენებია, როგორი გადასაფარებელი დასჭირდება ორი ლეიბისაგან შემდგარ საწოლს. ასეთი დიდი გადასაფარებელი შეგიძლიათ თვითონვე შეკეროთ და ირგვლივ შემოაკეროთ ნაოჭასხმული ქობა. გადასაფარებლის შეკერვა შეიძლება ჩითისგან, დეკორატიული ან ავეჯზე გადასაკრავი ქსოვილისაგან, რომლის ფერი და მოჩითულობა, რა თქმა უნდა, ოთახის კედლებს და ავეჯს უნდა ეხამებოდეს.

მე-5 და მე-6 ნახატზე ნაჩვენებია თანამედროვე საწოლები, რომელთა ლეიბებზე გადაკრულია დეკორატიული ქსოვილი, შერჩეული ოთახის ფერის მიხედვით. ასე რომ, დღისით ამგვარ ლოგინზე სხვა რამის გადაფარება აღარაა საჭირო. დილით ლოგინს იღებენ და ტოვებენ მხოლოდ ერთ ბალიშს, რომელსაც თანამედროვე მოჩითულობის ჩიხოლს აკრავენ.

ნ 31/287

ეროვნული ბიბლიოთეკა









